

**-ნ-სუფიქსიან ფორმათა ერთი რიგისათვის ისტორიულ
ქართულში**

68-ე
სამეცნიერო სესია
მასალები

2009 წლის 22-24 დეკემბერი

ეძღვნება
აკად. თ ა მ ა ზ გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ს
დაბადების 80 წლისთავზე

თბილისი
2009

1. სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, როგორც ჩანს, მის ხელთ არსებული ყველა შემთხვევა აღლუსხავს -ნ-სუფიქსიანი ექსპრესიული (ხმაბაძვითი) შინაარსის ერთი ტიპის ფორმებისა:

ტყაპნი ბრტყლად დაცემის (დაცემულის C) ქმა.

წყაპნი წვეთის ქმა.

წყარნი იღუჯროს ქმა (რკინის ქმა C).

ჭავნი ჭიქის გატეხის ქმა (შდრ. ნ. ჩუბ.: **ჭავანი, ჭახანი...**).

2. თვალშისაცემია, რომ განმარტებებში ყველგან „ქ მ ა“ დომინირებს და ისიც აშკარაა, რომ ეს ფორმები შინაარსით იგივეა, რაც, ერთი მხრივ, ახალ ქართულში უფრო გაგრცელებული **ტყაპნი**-ი, **წყაპნი**-ი..., ხოლო მეორე მხრივ — რედუცლიცირებული ფორმები: **ტყაპატყუბ-ი, წყაპაწყუბ-ი** და სხვ.

შდრ. საბა: **ჭავნი** დიდი(ს) ტკეცების ქმა. — **ჭავა-ჭუკი** მრავალ-ჯერ დიდი(ს) ტკეცების ქმა.

ამავე დროს, აშკარაა, რომ ამგვარ მარტივ ფუქტა (ძირთა) უმეტესობა ხმოვნითი ალტერნაციის შედეგია:

ტყებ-ს > **ტყაპ-ნ-ი,**

წყებ-ს > **წყაპ-ნ-ი...**

3. ამ ფორმათა შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ -ნ სუფიქსური ელემენტია; შემდგომი საილუსტრაციო მასალა ადასტურებს, რომ აშკარაა მისი კავშირი მრავლობითობის -ნ (-თ) სუფიქსთან.

„**ტყაპ-ნ-ი**“ ტიპის ფორმები ვლინდება როგორც ადრინდელ ლიტერატურულ წყაროებში, ისე, განსაკუთრებით, დიალექტებში. მათში დადასტურებული მასალა წარმოაჩენს, კერ ერთი, ამგვარ ფორმათა მრავლობითში შემათანხმებელ უნარს შესაბამის ზმნასთან:

„ვეფხისტყაოსანი“:

„ფატმან შექმნა თავსა ცემა, ღაწვნი ესხნეს ნახოვარნი,
ცრემლთა მისთა შეეყარნეს, წყაროსაებრ ისმნებ წყარნი“:

(შდრ. „ვეფხისტყაოსნისავე“:

„კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მუნ წყანწყარისა“).
„შაპნაძე“:

„ფერდზედა ედვის ბალიში, ტირს, ცრემლსა წყარნი გაუქდეს“:
ხევსურული:

„კიდევ შავდება ლურჯასა, სხაპნ იქნან მათრაჯისანი“.

მეორე მხრივ, მრავლობითის -თ(ა) სუფიქსის შენაცვლება ირიბ ბრუნვებში; მაგ., ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას ერთი-ერთი ეთნოგრაფიული ნარკვევიდან: „...თორე, განაუ იგაღენ „ტყრაშო“ — ხო იცი...“ თუ მაღვე აითრება „თარუა“, ხო პატიოსანი, თუ არა და გასღვებიან კიდევ „ტყრაშო“...

4. ვფიქრობთ, -ნ (-თ) ამგვარ ფორმებში იმავე ფუნქციის მქონეა, რისაც რედუქლიყაცია შესაბამის ფუქტთა გაორმაგებისას (სხა-ბასხუბი...), ანუ მას ინტენსივობის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება. რედუქლიყაციისას მას განმეორებადობის სემანტიკა ემატება.

5. სავარაუდოა, რომ ეს მოვლენა იზოლირებული არ უნდა იყოს ქართული ენის ისტორიაში. მას ვუკავშირებთ იმ რიგის ნართანიან ფორმებს, რომლებიც რეალურად მრავლობით არ გულისხმობს, „სიმრავლის“ კი არა, „სიუხვის“, „სისავსის“, „სიდიდის“ გამომხატველია: წყალ-ნ-ი, სისხლ-ნ-ი, მიწა-ნ-ი...

მაგ.: შეაყენის წყალნი ღრუბელთა მისთა (იობ. 26, 8);

სუა კლდესა და გამოეცნეს წყალნი (ფსალმ. 104, 41);

ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია!

(„ვეფხ.“);

ვუჩვენე: „ხედავთ, ინდოთა ტყველ პყვანან შუქნი რომელნი?“
(იქვე).

არ არის გამორიცხული, რომ -ნ (-თ)-ს ამგვარი ფუნქციით გამოვლენა არქეტიპული (რელიქტური) მოვლენა იყოს.

ნოდარ არდოტელი

სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიშართებისათვის დიდოურ ენათა მიმღეობაში

დიდოურ ენებში, მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, გარდაუგალი ზმნა სუბიექტის კლასის მიხედვით იცვლება, გარდამავალი ზმნა კი — ობიექტის კლასის მიხედვით [ჩიქობავა 1960: 6; 1979: 169; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 238-241].

1. დიდოურ ენებში გარდაუგალი ზმნის მიმღეობა ქმნის ორწევრიანი შესიტყვების მხოლოდ ერთ ტიპს [შდრ. აბდულაევი 1969: 35], რომელიც გამოიხატება ფორმულით: „გარდაუგალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი ნომინატივში“: საკ. დიდ. რალადღოლ-ხორ რ-იკიხოს ლ-ი რ-ეჭე მოლ „ზღვისკენ მიმავალი წყალი დიდია („არის“); ჰინ. ჰალ-ო ბარუს ზეყუენ ღ-ეთიტოს რეკუ „ამ ცოლს ჰყოლია საყვარელი (ზედმიწ. „საყვარელი კაცი“)... ამგვარ მიმღეობურ ფორმაში ისევე, როგორც შესაბამის ზმნაში, რეალური სუბიექტის კლასი (და რიცხვი) გრამატიკულად აისახება: საკ. დიდ. ტო ცინკლორ ბ-იკიხოს უეკუ-ბი მოლ „აქ არიან ტყეში მიმავალი კაცები“.

მეტად ნიშანდობლივია დიდოურ ენათათვის ის, რომ უკლასინშინო გარდაუგალი ზმნის მიმღეობის ატრიბუტულ შესიტყვებაში რეალური სუბიექტი (RS) გრამატიკულად არ გამოიხატება, რადგან ამ ტიპის მიმღეობებს კლასის სათანადო ნიშანი ზმნიდან არ გადმოჰყება. სუბიექტის კლასის აღსანიშნავად არც სუფიქსური კლასის ექსპონენტები დასტურდება.

ისმის კითხვა: რა გამოიყენება კლასიფიკატორთა უქონლობის საკომპენსაციო საშუალებად, რომლებიც მიუთითებდნენ რეალურ სუბიექტზე ან რეალურ ობიექტზე?

ჩვენი აზრით, კლასურ კუთვნილებაზე მიუთითებს გრამატიკული ფორმა და ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც ნომინატიური ბრუნვის ფორმითაა გამოხატული, მაგ., აღურა მოლ „მექუახოს უეკუ „წისქვილში მშეერი კაცია“.

წარმოდგენილ წინადადებაში მიმღეობა მექუახოს („მშეერი“)

შეიძლება ქალსაც გულისხმობდეს და ნივთსაც, მაგრამ მისი შინაარსობრივი კონკრეტზაცია — კლასური კუთვნილების დადგენა **შეკუ** („კაცი“) ლექსემის მიხედვით ხდება, ე. ი. **შეკუ** („კაცი“) ამოგვაცნობინებს გრამატიკულ კლასს და გვევლინება რეალურ სუბიექტად. მიუხედავად იმისა, რომ მიმღეობაში კლასის ექსპონენტი არ გვაქვს, აზრობრივი კავშირი მიმღეობასა (მექუახოსი) და RS-ს (**შეკუ**) შორის მყარია.

ანალოგიური სურათი გვეძლევა ახლომონათესავე ენებში: ჰინ. სასაც დიუ ქეზე უქ' ჰადიდლო **ნოხტოს რეკუშე** „დილით მე შეგხვდები აქეთ მომავალ კაცს“; ბეჟ. **უჩეხეცას ოფო** დიე გედ [მაღიევა 1965: 130, 13] „წაქცეული ბავშვი ჩემია („არის“)“.

2. დიდოურ ენებში ცალკე ჭიუფად უნდა გამოიყოს გრძნობა-აღქმის (verba sentiendi-ს) ტიპის ზმნათა მიმღეობების სუბიექტურობის მიმართებები.

ამ ტიპის ზმნათა მიმღეობი ქმნიან სამწევრა შესიტყვების შემდეგ მოდელს: „**სუბსტანტივი (RS) დატივში + გარდაუგალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი (RO) ნომინატივში**“.

გრძნობა-აღქმის ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებში, რომლებშიც რეალური სუბიექტი წინ უსწრებს მიმღეობურ ფორმას, შესაბამის ზმნათა ანალოგიურად [იმნაიშვილი 1963: 260; ჰაიდაროვა 1979: 162], წარმოდგენილია რეალური ობიექტის გრამატიკული კლასის ექსპონენტი ნომინატიურ ბრუნვაში, ხოლო რეალური სუბიექტის გრამატიკული კლასის ნიშანი მიმღეობაში არ აისახება, მაგალითად: საკ. დიდ. დებერ (RS) **მ-შთირუ ქიდ** (RO) იდუ პნუ „შენი შეყვარებული გოგო სახლში არაა“; ჰოუში მ-ისირ (RS) **მ-იქტატრუ ჰოლოუ** (RO) ისე ბიტუნ ჭეზიცონ „ახლა მისი (ქალის) ნანახი (ზედმიწ. „მას ჩვენებული“) სიზმარი მან სიმართლედ მიიჩნია“; ბეჟ. მუჰა-მადილ (RS) **მ-ატირო ქიდ** (RO) აენებ მ-ექნა „მაჰომედის შეყვარებული გოგო წყალში ჩავარდა“; ხვარშ. დილ (RS) **ლ-აქტალასა აპ** (RO) გოლე „ჩემი სანახავი სახლი არის“; ჰინ. **ბ-უჰო გოლი ზერუ** (RO) **ბ-იქევრუ** მიხტაო ლუადიუაზ (RS)... „ნახეს რა ყვავებმა მკვდარი მელა...“

3. გარდამავალი ზმნის მიმღეობა ორ სტრუქტურულ ტიპს ქმნის: 1) „**სახელი (RS) ერგატივში + გარდამავლი ზმნის მიმღეობა**

ბა + სუბსტანტივი (RO) ნომინატივში“. მსგავსი ტიპის შესიტყვების მიმღეობა ძირითადად ვნებითი გვარის სემანტიკის შემცველია, მაგ., საკ. დიდ. ლუაც (RS) **ლ-ჟირუ** ისეს **წილუ** (RO) სიდ აპოზიზობისლორ ჭაყინ „ქარის წალებული ხარის ბეჭი ერთ მწყემსს თვალში ჩაუვარდა“; ხვარშ. უჟა (RS) **ლ-ედზა დინი** (RO) **ლ-აგუ** ისად „ვაჟის მოყვანილი ქალი კეთილი არ აღმოჩნდა“; ბეჟ. დო (RS) **ღ-იტევო იუო** (RO) გედ ჰუგი „ჩემი მოკლული ყმაწვილია („არის“) ის“.

ზემომოყვანილ წინადადებებში **RS**, რომელიც დგას ერგატიულ ბრუნვაში, მიმღეობაში არ აირეკლება, ხოლო **RO**, რომელიც ნომინატიური ბრუნვით გადმოიცემა, ზმნაში სათანადო გრამატიკული კლასის ექსპონენტის თანხლებით რეალიზდება.

2) „**სუბსტანტივი (RO) ნომინატივში + გარდამავალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი (RS) ნომინატივში**“, მაგ.: ხვარშ. **ბოხ (RO) ლ-აწლომო ზინ წი (RS) ლ-ონ ხული** „ბალახის შემჭიდელმა ძროხამ წყალიც დალია“; დიდ. **ჰალტი (RO) ბ-ისხოსი უეკუ** (RS) იდულორ ღიკის „საქმის ამღები კაცი სახლში წავიდა“; ბოლო წინადადების შესიტყვებაში „**ჰალტი ბ-ისხოსი უეკუ**“ **ჰალტი „საქმე“ (RO)** აირეკლება მიმღეობაში **ბ-** კლას-ნიშნის საშუალებით, ხოლო ლექსემას **შეკუ „კაცი“ (RS)** მოეპოვება თავისი ნიშანი **-ხი** ფორმანტის სახით, რომლის საშუალებითაც უთანხმდება საზღვრულს — რეალურ სუბიექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილი შესიტყვების კიდური წევრები, მართალია, სემანტიკურ კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან, მაგრამ ფორმობრივი (მორფოლოგიურად რეალიზებული) დამოკიდებულება მათ შორის არაა გამოხატული. შესიტყვების შუალა კომპონენტი — მიმღეობა წარმოადგენს რეალური ობიექტისა და რეალური სუბიექტის დამაკავშირებელ რგოლს. ეს შეპირობებულია მიმღეობის ბუნებით — მას გააჩნია ორმხრივი მორფოლოგიური გამოხატულება: პრეფიქსული — კლასისა და რიცხვის ნიშნით (ზმნისეული), სუფიქსური — ადიექტიური ფორმანტით (ორგანული).

4. კაუზატიური (კაუზატიური ზმნისაგან ნაწარმოები) მიმღეობები განსხვავებულია იმის მიხედვით — გარდაუგალი ზმნისაგანაა ნაწარმოები კაუზატივი თუ გარდამავლისაგან. სათანადოდ არსებობს

ორგვარი კაუზატივი: ა) პირველადი და ბ) მეორეული [მაპომედბეკოვა 1978: 235; ზვიადაური 1990: 219-220; არდოტელი 2008: 64-83].

ა) პირველადი კაუზატივისაგან ნაწარმოები მიმღეობები, სინტაქსური თვალსაზრისით, ძირითადად გარდამავალი ზმნების მიმღეობათა ბადალია. ასეთი მიმღეობები შესიტყვებაში ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც ჩვეულებრივად გარდამავალი ზმნის მიმღეობები. დიდოური ენების ანალოგიური რიგის მიმღეობებში რეალური სუბიექტი დგას ერგატივში, ხოლო რეალური ობიექტი ნომინატივში, მაგალითად: საკ. დიდ. **მი (RS) (Ø)ეხსაზუ (RO)** დედ უჟი ზოუნ „შენ მიერ მოკლული ბიჭი ჩემი შვილი იყო“; ბეჭ. **დო (RS) ტულოლო სუკოს (RO), ის მოყორო უენშა**, „ჩემი მოკლული კაცის ძმა მოვიდა დღეს“; ხვარშ. **მე (RS) აჟაჟუ უჟე (RO)** დიდო მეჩი (სანტლ.) „შენ მიერ მოკლული ვაჟი ჩემი (შვილი) იყო“.

ბ) მეორეული კაუზატივისაგან (კაუზატივის ფორმანტთა რედუქციაციით) ნაწარმოები მიმღეობები ქმნიან ოთხწევრა შესიტყვების ერთ სტრუქტურულ ტიპს: **სუბსტანტივი (ერგატიულ ბრუნვაში) + სუბსტანტივი (ლოკატიურ ბრუნვაში) + კაუზატიური მიმღეობა + სუბსტანტივი (ნომინატიურ ბრუნვაში)**.

მიმღეობაში, როგორც წარმოდგენილი ტიპის შესიტყვების ერთ-ერთ კომპონენტში, ნათლად აისახება სუბიექტ-ობიექტების დამოკიდებულება. მიმღეობის აუსლაუტურ პოზიციაში აირეკლება უახლოესი („პირდაპირი“) ობიექტის კლასი და რიცხვი, ხოლო რეალური სუბიექტი და ირიბი ობიექტი გრამატიკულად გამოხატული არ არიან, მაგალითად: დიდ. **ნესა (RS) ერუ შეკუპ (RO ირიბი)**

რ-ისერასი ლი (RO უახლოესი) დი ჰალ'ინჭუს „მის მიერ (ზედმიწ. „მან“) მოხუცი კაცისათვის ნაყიდვინებელი („აღებინებული“) წყალი მე არ დავლიე“; ბეჭ. **დიდელა ისტი (RS) ბისპიდ (RO ირიბი)** ბ-ობილლიმო **ბისა (RO უახლოესი)** ბერცინაბ გედ „ჩემი ძმის მიერ (ზედმიწ. „ჩემმა ძმამ“) მეთევზისთვის დაჭერინებული თევზი ლამაზი არის“.

შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ თ ნ ი ძ ე

ეტიკეტის გამომხატველი ლექსიკა „ვეფხისტუაოსანში“

1. „ვეფხისტუაოსნის“ მდიდარი ლექსიკა მრავალი მხრივ არის საგულისხმო და ამიტომ სპეციალურად შესასწავლიც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პერსონაჟთა მეტყველებისა და ცეცვის ეტიკეტის გამომხატველი ლექსიკა.

2. პოემაში ასახული ის სოციალური (ე. წ. პატრონუმური) ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს იერარქიის გრძელ კიბეზე მყოფ პერსონაჟებს — ერთი მხრივ, მაღალი წრის წევრებს (მეფეებს, უფლისწულებს...) და, მეორე მხრივ, მათს „ყმებს“, ქვეშევრდომებს, სათანადო ლექსიკით არის გამოხატული.

3. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მუდამ მკაცრად დაცული პრინციპი მეტყველების გამომხატველი ლექსემების დიფერენცირებული ხმარებისა. იერარქიის მეტყველება ქვეშევრდომის მიმართ მუდამ ბრძანებით აღინიშნება, ხოლო ქვეშევრდომისა იერარქიის მიმართ — ა) დიალოგშიც და ბ) ავტორისეულ რემარკაში — **კადრებით და მოსხენებით**. მაგალითად, მეფე როსტევანის მიმართვას სათათბიროდ დაბარებული ვეზირებისადმი —

ა) **უბრძანა:** „გირთხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა“ (35, 1) — მოსდევს ვეზირთა პასუხი მეფისადმი:

ბ) ვაზირთა **ჰკადრეს**: „მეფეო, რად ბრძანე თქვენი ბერობა!“ (37, 1)...

„მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭნობია“ (38, 1).

ვერა **ჰკადრა** საუბარი, მონა მეტად შეუზარდა, ...

მოასენა: „გიორძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა (87, 1-3).

4. ქვეშევრდომი იერარქს მიმართავს როგორც **შენობით**, ისე **თქვენობით**. ამ მხრივ მკაფიო სადემარკაციო ხაზი არ შეინიშნება, ზმნებში კი ზემოაღნიშნული ეტიკეტური დიფერენცირება, ჩვეულებისამებრ, დაცულია.

5. ლექსიკური მრავალფეროვნებისათვის პოემაში იხმარება ზოგი სხვა ზმნაც, მაგ., შეკითხვის გამოსახატვად მეტყველება-წრის ზემოხსენებულ ზმნებს დანიშნულებისმებრ ენაცვლება **იკითხავს** ზმნა. საკმაოდ ხშირად არის გამოყენებული მოკლე **თქვა** ზმნაც. ამ შემთხვე-

ვაში გასათვალისწინებელია ვერსიფიკაციული რეგლამენტაციის ფაქტორი, რომლის ძალითაც რეალიზებულია კლიტიკების მოთხოვნილება. მოხსენებაში ყურადღება ექცევა სხვა მომიჯნავე საკითხებსაც.

მ ა ი დ ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი

ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოება ინგილოურ დიალექტში

1. ინგილოურ დიალექტში ზედსართავი სახელის ხარისხის საშივე ფორმა გვხვდება: დადგებითი, ოდნაობითი და უფროობითი.

ოდნაობითი ხარისხის ფორმები ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, **მო—ო** აფიქსებით იწარმოება.

2. ინგილოური დიალექტი უფროობით ხარისხს ვერ აწარმოებს. მის ნაცვლად ამ კატეგორიის გამოსახატავად იყენებს ინდოევროპულ ენებში არსებული აღმატებითი ხარისხის მსგავს ფორმებს. ამ ხარისხის საწარმოებლად ინგილოურ დიალექტში გამოიყენება როგორც ძირეული, ასევე აზერბაიჯანული ენიდან ნასესხები სიტყვები.

მაგალითად: მაგრა — მეტად, ელასალა — მეტისმეტად, ლაფა—მაგრა — ყველაზე მეტად. ამავე ხარისხის გამოსახატავად აღნიშნულ დიალექტში გამოიყენება ინტენსიური წარმოება: წიმ-წითელ, ფართხშობლა და სხვ.

ა ლ ი ნ ა ბ ა ღ ი შ ვ ი ლ ი

მეგრ. „ნაფრა“ თეონიმის წარმომავლობისათვის

„ნაფრა“ (ნაფურნახა) სამეგრელოში წარმართული ღვთაების სახელია. ნაფრას თაყვანისცემა და რიტუალი სრულდებოდა ივლისის თვეში. ხალხში გაგრცელებული აზრით, „ნაფრას“ ლოცულობდნენ

სხვადასხვა დაავადების დროს. ერთ-ერთი შელოცვა სრულდებოდა თვალნაკრავის (გათვალულის) შემთხვევაშიც.

ვფიქრობთ, მეგრ. „ნაფრა“ თეონიმი არაბული წარმომავლობისაა. არაბული ლექსიკური ერთეული „ნაფრა“ ჰქ. [ნაფრ-ათუნ] ნიშნავს თვალნაკრავის, გათვალვის საწინააღმდეგო ამულეტს, ავგაროზს. არაბული „ნაფრა“ და მეგრული საკუთარი სახელი „ნაფრა“ (ნაფურნახა) სემანტიკის თვალსაზრისით აშკარა მსგავსებას ამუღავნებს.

ს. მაკალათის აზრით, „ნაფრას“ მეორე შესატყვისი „ნაფურნახა“, როგორც ლოცვიდან ჩანს, ასევე ღვთაების სახელია.

ლ ა ლ ი ბ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი

„ვარსკულავედი“ სიტყვის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში

მეფეთა || წიგნში **ვარსკულავედი** სამოსლის მსაზღვრელად იხმარება და მის რაღაც სახეობას აღნიშნავს:

და თამარს ესხა სამოსელი ვარს კულავედი, რამეთუ ეგევითარითა მოსილ არიედ ასულნი შარავანდედთანი ქალწულებასა შინა თვესა (13,19) O. და მოილო თამარ ნაცარი და გარდაისხა თავსა თვესა და სამოსელი იგი ვარს კულავედი დაბო (13,20) O.

სულხან-საბა არბელიანი ამ სიტყვის განმარტებისას აღნიშნულ კონტექსტს ეყრდნობა: „**ვარსკულავედი** ესე არს სამოსელი მეფეთა ასულთა ნემსურად ნაკერი ოქრომკედოთა და მისთანათა ZA“.

ილ. აბულაძის აზრით, **ვარსკულავედი** „ღილებიანს“ ნიშნავს. მეცნიერისათვის ამგვარი განმარტების წყარო სომხური რედაქცია უნდა იყოს, სადაც „სამოსელი ვარსკულავედის“ შესატყვისია **պარხდოს կოძկენ** (paregot ქოჯენ) „სამოსელი ღილებიანს“.

ებრაულში შესაბამისი შესიტყვება **כָתֹנֶת פָסִים** (katōnet pasim) „ჭრელ სამოსელს“ აღნიშნავს. შდრ.: ბერძნ. χιτών ποικίλος (xiton polikilos), ლათ. tunika polimita „კვართი ჭრელი, მრავალფერი“. 11

ამრიგად, სიტყვა **გარსკულაგედი** მეცეთა || წიგნში „ტრელის“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი, თუმცა ამ დერივატის მსგავსი შინაარსით გამოყენების სხვა შემთხვევა არ დასტურდება.

შალვა გაბესკირია

ეთნიკურ ტერმინ „ჭანიდან“ მიღებული რამდენიმე საკუთარი სახელის შესახებ

დროთა განმავლობაში, ტერმინ „ლაზის“ მიერ შევიწროებული სატომო სახელი „ჭანი“ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში „ჭანი“ და „ჭენი“ ფორმებითაა დამოწმებული. ამ უკანასკნელს, როგორც სომხური წყაროების „ჭენს“, ზოგი მკვლევარი გაუმართლებლად ჩინელად განმარტავს. ჩვენი აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ ჩინეთად გაგებული ჭენთა ქვეყანა არის ჭანეთი.

მოხსენებაში გამოთქმულმა ზოგიერთმა ვარაუდმა შეიძლება დამატებითი მაგალითებით შეავსოს ის ონომასტიკური მასალა, რომლისთვისაც ამოსავალი სახელია ტერმინი „ჭანი“:

გვარსახელ ჭანბერიძესა და ჭამბერიძეს საფუძლად თხზული *ჭანბერი (> ჭამბერი > ჭუმბერი) უნდა ედოს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ „ჭანი“ სავარაუდოდ მამაკაცის პირის სახელია.

ეთნონიმ „ჭანიდან“ მიღებულ მულერ ანლაუტიან პირის სახელ ჭანასგან ნაწარმოებია ჭანაშია და ჭანაშვილი. განსახილველი სახელი უნდა შეიცნობოდეს გვარებში: ჭანუაშვილი, ჭანიკაშვილი, ჭანუკაშვილი, ჭანუყაშვილი.

გიორგი გოგოლაშვილი

საულლებელი ფუძის პრინციპი და მესამე სერია

ცნობილი ფაქტია: საწარმოებელი ფუძის მიხედვით მწკრივთა დაშვეულების წესი „ნ. მარმა დანერგა სამეცნიერო გრამატიკაში და ეს მისი უდავო დამსახურება არის“ (არნ. ჩიქობავა). ისიც აღინიშნა, რომ საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით თუ პირველი და მეორე სერიის გამოყოფა დაგას არ იწვევს, ამას ვერ ვიტყვით მესამე სერიის მიმართ. „თურმებობითის ჭვეფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას“ (არნ. ჩიქობავა).

ვფიქრობთ, ეს დებულება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ვითარებას სწორად ასახავს; ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში მდგომარეობა სხვაგვარია, ზოგი რამ დასაზუსტებელია.

მესამე სერიაში ფორმაწარმოების თვალსაზრისით სამი შემთხვევა გაირჩევა: მოქმედებითი გვარის ზმნები, ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები და ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები.

მოქმედებითი გვარის ზმნებში ძველსა და ახალ ქართულს შორის პრინციპული განსხვავებაა ||| სერიის ფორმათა წარმოებაში:

I თურმ.: აღმი-**ჭენ-ებ**-იეს, განმი-**გ-ებ**-იეს, განმი-**ტფ-ობ**-იეს
II თურმ.: აღმე-**ჭენ-ა**, განმე-**გ-ო**, განმე-**ტფ-ო**
III კავშ.: აღმე-**ჭენ-ოს**, განმე-**გ-ოს**, განმე-**ტფ-ოს**

ახალ ქართულში ||| სერიის ყველა მწკრივს საერთო საყრდენი ფუძე აქვს, ოღონდ ერთ ნაწილს — I სერიის რთული თემა, მეორე ნაწილს — II სერიის მარტივი თემა. ანუ: ერთ შემთხვევაში I თურმებითის საყრდენი ფუძე განზოგადდა, მეორე შემთხვევაში — II თურმებითის საყრდენი ფუძე:

I თურმ.: ამი-**ჭენ-ებ-ია**, გამი-**გ-ია**, გამი-**თბ-ია**
II თურმ.: ამე-**ჭენ-ებ-ინა**, გამე-**გ-ო**, გამე-**თბ-ო**
III კავშ.: ამე-**ჭენ-ებ-ინოს**, გამე-**გ-ოს**, გამე-**თბ-ო-ს**

—ავ და —ავ თემისნიშნიანი ზმნები სწორედ მეორე რიგის ფორმათა კანონზომიერებას დაექვემდებარა: II თურმებითის ფორმა გა-

ვრცელდა | სერიაშიც:

ძველი ქართული:

I თურმ.: დამი-მალ-ავ-	მი-თქუ-ამ-ს
II თურმ.: დამე-მალ-ა	მე-თქუ-ა
III კავშ.: დამე-მალ-ოს	მე-თქუ-ას
ახალი ქართული:	
I თურმ.: დამი-მალ-ია	მი-თქე-ია
II თურმ.: დამე-მალ-ა	მე-თქე-ა
III კავშ.: დამე-მალ-ოს	მე-თქე-ას

საგულისხმო ფაქტია ის, რომ საწარმოებელი ფუძის გაერთოფე-როვნება ხდება თემისნიშნიან ზმნებში; ხმოვანმონაცვლე ზმნებში ფორმობრივი ცვლილებები არ მომხდარა III სერიაში; თემის ნიშანთა სისტემაში მომხდარი ცვალილებები და ეს მოვლენა, როგორც ჩანს, ურთიერთყავშირშია...

III სერიის მწკრივებში საწარმოებელი ფუძის ერთფეროვნება კიდევ უფრო თვალში საცემია ვნებითი გვარის ზმნებში. ორპირიან ვნებითებში ძველსა თუ ახალ ქართულში ეს პრობლემა არც მდგარა:

ძველი ქართული

I თურმ.: დავჭ-გიწე-ებ-იე	დავ-გიწე-ებ-ი-ვარ
II თურმ.: დავჭ-გიწე-ებ-ოდე	დავ-გიწე-ებ-ოდი
III კავშ.: დავჭ-გიწე-ებ-ოდი	დავ-გიწე-ებ-ოდი

ერთპირიან ვნებითებში ამ თვალსაზრისით საინტერესო ცვლილებები მოხდა:

ძველი ქართული

I თურმ.: დამალულ ვარ	და-ვ-მალულ-ვარ
II თურმ.: დამალულ ვიყავ	და-ვ-მალულ-იყავი
III კავშ.: დამალულ ვიყო	და-ვ-მალულ-იყო

პირის ნიშნის მიმღეობის წინ, ზმნისწინის შემდეგ, გადმოტანამ ახალი ქართულის ფორმები ორგანულ წარმოებას დაუახლოვა; მიმღეობას ზმნისწინი ჩამოაშორა და ზმნური ფორმის ელემენტად აქცია, უზმნისწინო მიმღეობას მწკრივის საყრდენი ფუძის სტატუსი მისცა...

საბოლოოდ იმის თქმა შეიძლება, რომ III სერიის მწკრივებში ფაქტია საუღლებელი ფუძის ერთფეროვნებისაკენ მიღრეკილება, „პა-რადიგმათა გასწორების“ ტენდენცია, თუმცა ეს არაა იმგვარი ერთფეროვნება, I და II სერიის მწკრივებში რომ გვაქვს.

ტარიელ გურგენიძე

ქართული ენის ჩქამიერ ხშულ თანხმოვანთა აღწერისათვის

ნებისმიერი **H** სიმრავლის ელემენტების ერთდროულად ორი ნიშნით (**k_i** და **k_j** ნიშნებით) დახასიათების შედეგად განსახილველი სიმრავლე დაიყოფა ურთიერთარაგადამკვეთ ოთხ ქვესიმრავლები. შესაძლებელია ამ ქვესიმრავლებიდან ერთ-ერთი მათგანი ცარიელი სიმრავლე იყოს. მაშინ **H** სიმრავლის ყველა ელემენტი შევა არაცარიელ სამ ქვესიმრავლები.

სწორედ ეს შემთხვევაა რეალიზებული ქართული ენის ჩქამიერ (არასონორ) ხშულ თანხმოვან ფორმათა დახასიათებისას. მკვლევართა დიდი ნაწილი ამ მიზნისთვის სამ ნიშანს იყენებს: **k₁** — მუღლობა, **k₂** — ფშეინვიერობა, **k₃** — მკვეთრობა. ერთდროულად ამ სამი ნიშნის გამოყენებით მართლაც ხდება სამი არაცარიელი ქვესიმრავლის გამოყოფა, მაგრამ ამაღლროულად გვაქვს ხუთი არარეალიზებული შემთხვევა, რომლებიც შეესაბამება ცარიელ სიმრავლეს.

თუ ამ სამი ნიშნიდან მხოლოდ ორი მათგანით შემოვიფარგლებით, გვექნება სამი ვარიანტი: 1) **k₁** და **k₂**; 2) **k₁** და **k₃**; 3) **k₂** და **k₃**. თითოეულ ამ ვარიანტში გვაქვს ერთი არარეალიზებული შემთხვევა (ანუ, ერთი ცარიელი ქვესიმრავლე), როდესაც **k_i** და **k_j** ნიშნებიდან ორივე მათგანი ერთდროულად + (დადებითი) ნიშნით არის წარმოდგენილი, რაც არის ლოგიკური ფუნქციის — კონიუნქციის უარყოფა. ამათგან 2) და 3) ვარიანტები განხილულია სხვადასხვა ავტორთა მიერ. თეორიულად დასაშვები 1) ვარიანტის შესახებ კი არავინ არ მსჯელობს.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ განსახილველი სიმრავლის ელე-
მენტების დახასიათებას ორი ნიშნით, ვინაიდან ამ შემთხვევაში მხო-
ლოდ ერთი არაცარიელი ქვესიმრავლე გამოიყოფა.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, თ ი ნ ა ღ ვ ი ნ ა ძ ე,
შ უ ჭ ი ა ა ფ რ ი ღ თ ნ ი ძ ე

პარონიმულ წყვილთა გამოყოფის ორიენტი ბრინჯიშებისათვის

1. პარონიმთა, როგორც ბგერობრივად მსგავს და მნიშვნელო-
ბით განსხვავებულ სიტყვათა, შეკრება-შესწავლა შეპირობებულია,
პირველ ყოვლისა, პრაგმატული საჭიროებით — გარეგნული მსგავსე-
ბის გამო მათი სემანტიკური აღრევის თავიდან ასაცილებლად.

2. ყველაზე ხშირი და ტიპობრივია უცხოური წარმოშობის პა-
რონიმები. მიზეზი გასაგებია: ნასესხები ლექსიკა უცნობი ეტიმოლო-
გიის გამო უფრო ბუნდოვანია (ზოგჯერ — სრულიად გაუგებარი)
ვიდრე მშობლიური. ასეთ უცხოურ პარონიმულ წყვილთა პოპულა-
რული ნიმუშებია: **კამპანია** და **კომპანია**, **ადრესატი** და **ადრესან-
ტი**... გაცილებით მეტია სხვა, ნაკლებად ცნობილი მასალა.

ა) პარონიმთა ერთ-ერთი აქტიური წყაროა ხალხური ხმარება
ფართოდ გავრცელებული დაავადებებისა. განსაკუთრებით ირევა ერ-
თნაირი ბგერათკომპლექსით დაწყებული ტერმინები. მაგ., **აპენდიქსი**
(ბრძან ნაწლავის დანამატი; ჭიანაწლავი), როგორც წესი, იხმარება
აპენდიციტის (აპენდიქსის ანთების) აღსანიშნავად. ასევე ერევათ
ართრიტი (სახსრების ანთებითი დაავადება) **ართროზში** (ნივთიერე-
ბათა ცვლის დარღვევით გამოწვეული სახსრების ჭრონიკული დაავა-
დება), **პროსტატა** (წინამდებარე ჭირკვალი) — **პროსტატიზი**
(პროსტატის ანთება) და სხვ.

ბ) ხშირია ქიმიური ტერმინების აღრევის შემთხვევებიც, განსა-
კუთრებით მაშინ, როცა ბგერობრივი სხვაობა მინიმალურია, მაგ., **აბ-
სორბენტი** (აბსორბციის, ანუ შთანთქმის უნარის მქონე ნივთიერება)

და **ადსორბენტი** (სხეული, რომლის ზედაპირზედაც ხდება აღსორ-
ბცია, ანუ გაზის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერებების ზედაპი-
რის მიერ), **კოაგულანტი** (წყლის გასაწმენდად გამოყენებული ქიმიუ-
რი ნივთიერების სახელწოდება) და **კოაგულატი** (ნალექი, რომელიც
ჩნდება კოლოიდური ხსნარის კოაგულაციის შედეგად) და მისთ.

გ) ასეთი მინიმალური ბგერობრივი სხვაობა შეიძლება შე-
გვევდეს სრულიად „არატექნიკურ“ (ჰუმანიტარულ დარგებში
გამოყენებულ) სიტყვებშიც: **კონსონანსი** (კეთილხმოვანება) და **კონ-
სონანტი** (თანხმოვანი), **კომედიანტი** (მსახიობი) და **კომედიოგრაფი**
(კომედიების ავტორი) და სხვ.

დ) უცხოურ პარონიმთა ერთ რიგს ქმნის სპეციალური ტერმი-
ნებისა და არასპეციალური სიტყვების ზედამიწვნითი მსგავსება, მაგ.

ორდინალური (მათემატიკური ტერმინი, იხმარება რი-
ცხვების აღსანიშნავად — კარდინალურის საპირისპიროდ) და **ორდი-
ნარული** (ჩვეულებრივი). ანალოგიური ნიმუშებია: **კონიექტურა**
(ტექსტის დამახინჯებული ადგილის აღდგენა; ძნელად წასაკითხი
ტექსტის გაშიფრვა) და **კონიუნქტურა** (1. შექმნილი ვითარება, სი-
ტუაცია; 2. სასაქონლო მეურნეობისათვის დამახასიათებელ ნიშან-
თვისებათა ერთობლიობა) და მისთ.

ე) ძალიან ხშირად პარონიმები ნაწარმოები ფორმებია (ზედსარ-
თავებია). მათი ამოსავალი არსებითი სახელები კი ამგვარ წყვილებს
არ წარმოქმნიან. მაგ., **დიალექტი** და **დიალექტიკა** ერთმანეთში არ
ირევა, მაგრამ მათგან ნაწარმოები ზედსართავები — **დიალექტური**
და **დიალექტიკური** — არაერთხელ დადასტურებულა პრესის ენაში
ერთმანეთის მონაცელედ. ასევე ირევა ზედსართავები — **კორექტული**
(ქცევა, საუბარი) და **კორექტურული** (შეცდომა) და სხვ.

3. პარონიმის მიზეზი მხოლოდ უცხოური ლექსიკა როდია.
ჭართულ ენაში აღრევის წყარო შეიძლება გახდეს როგორც სახელი,
ისე ზმნა, მასდარი, ზმნისართი... (მათ შესახებ მოხსენებაში იქნება
საუბარი).

გარდა ისეთი ცნობილი პარონიმული წყვილებისა, როგორიცაა
მცნება და **ცნება**, **აღქმა** და **აღთქმა**, **სწორად** და **სწორედ**, **უებარი**
და **უებრო**, მოგვიანებით წარმოებულმა კვლევამ გამოავლინა დიდა-
ლი ახალი მასალა და აღმოჩნდა, რომ პარონიმული ერთეულების

წარმოქმნას ხშირად საფუძვლად უდევს სიტყვაწარმოება (მათ შორის დამატებითი აფიქსაციაც): **ამოწვდენილი** და **ამოწვდილი**, **არყი** და **არყა**, **განსაზღვრა** და **განსაზღვრება**, **განწყობა** და **განწყობილება**, **თარგმნა** და **თარგმანი**, **მაცხოვრებელი** და **მცხოვრები**, **მევალე** და **მოვალე**, **მოთხოვნილება**, **მოსალოცავი**, **მოსარჩელე** და **მოსარჩელი**, **მოწავლე** და **მოწავლება**, **მრავალმნიშვნელობიანი** და **მრავალმნიშვნელოვანი**, **მწერლობა** და **დამწერლობა**, **ნაბანოები** და **ნაბანოევი**, **ნავახშები** და **ნავახშევი** (ნავახშევს), **ნაოპერაციები** და **ნაოპერაციევი**, **რვამარცვლიანი** და **რვამარცვლოვანი**, **საგირაო** და **საგირავნო**, **საკბილე** და **საკბილო**, **სამულე** და **სამამულო**, **სამწერლო** და **სამწერლობო**, **სარძევე** და **სარძეო**, **სასწავლი** და **სასწავლო**, **საშური** და **შესაშური**, **საცოლე** და **საცოლო**, **საჰაერე** და **საჰაერო**, **სწავლა** და **სწავლება**, **შედგენილობა** და **შემადგენლობა**, **წყობა** და **წყობილება** და **მრავალი** სხვა.

4. პარონიმთა გარკვეულ წყებას ქმნის მსგავსი სტრუქტურისა და წარმოების ზმნები: **აცვას** (კვარს) და **აცმევს** (კაბას), **ასვაშს** (დაღს) და **ასმევს** (ჩაის), **აჩენს** (სახეს) და **აჩნევს** (კვალს)..., აგრეთვე, ზოგ შემთხვევაში, — მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის გამოტოვება: **ჩადის** (კიბეზე) და **სჩადის** (დანაშაულს), **გადადებს** (საქმეს) და **გადასდებს** (გრიპს), **გადადის** (ქუჩაზე) და **გადასდის** (თავზე), **ჭირს** (მუშაობა) და **სჭირს** (სურდო), **მოდგაშს** (ფეხს) და **მოსდგამს** (მამა-პაპიდან) და სხვ. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის ნიშანთა მართლწერის გამო, არამედ ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც.

5. სპეციფიკურია დამხმარე სიტყვების, განსაკუთრებით, კავშირებისა და თანდებულების აღრევის შემთხვევებიც: ერთმანეთში ირევა მიზეზისა და მიზნის კავშირები: **იმიტომ** (// იმის გამო) და **იმის-თვის**, **რადგან** და **რათა**; ზოგჯერ კი კავშირთა აღრევის საფუძველია ერთ-ერთი მათგანის არქაულობით გამოწვეული გაუთვითკრნობიერებლობა. მხედველობაში გვაქვს **რათა**-ს მეტოქეობა ქველქართულ **რამეთუ** კავშირთან. აღრევა შეიმჩნევა ზოგი ცალკე მდგომი თანდებულის შემთხვევაშიც, მაგ., **წინააღმდეგ** თანდებულის ნაცვლად იხმარება **წინაშე** (საქმე აღძრა საკუთარი ძმის წინაშე).

6. პარონიმების ხმარებისას აღრევა უმეტესად ცალმხრივია: ერთი მათგანი იხმარება მეორის ადგილას, მაგრამ არა პირუკუ. უფრო იშვიათია შემთხვევები, როცა მეტყველებაში ორივე შეიძლება ერთმანეთს ჩაენაცვლოს. აღსანიშნავია, რომ დადასტურდა სამწევროვანი პარონიმები, მაგ., **ოკულარი** — **ოკულისტი** — **ოკულანტი** და მისთ.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

უპრევერბო გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნების ზოგიერთ ფორმათა კვალიფიკაციისათვის სვანურ ენაში

სვანურ ენაში დასტურდება ზმნათა ფორმები, რომლებიც უღლების სისტემაში დღემდე ცნობილ მწკრივთა (დრო-კილოთა) შორის არ არის დაფიქსირებული.

აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: გაღმოგვცემს წარსულში **სავარაუდო**, **დაუზუსტებელი**, **პირობითად** შესრულებული მოქმედების სტატიკურ შედეგს აწმყო-მყოფადში (ხემი — „ალბათ უჭამია მას ის“, ხევი „ალბათ უშენებია მას ის“) ან წარსულშივე (ხემლ (ბზ.), ხემიუ (ბქ.) — „ალბათ ეჭამა მას ის“, ხევლ — ბზ., ხევიუ — ბქ. „იქნებ ეშენებინა მას ის“).

ეს ფორმები პოლისემიურია (შდრ. პრეფიქსიანი ვნებითი, აწმყო: **ხედგარი** „უკვდება ის მას“, **ხედგარლო** / **და** / **ხედგარისუ** „უკვდებოდა ის მას“; სტატიკური ვნებითი, მყოფადუსრული: **ხეხტებუ** „ეხატება ის მას, მისთვის იქნება დახატული“, **ხეხტაულო** / **ხეხტეული** „ეხატებოდა ის მას, მისთვის იქნებოდა დახატული“) და შესაძლებელია მათთი ჩრდილში დარჩენის (შეუმჩნევლობის) მიზეზიც ეს იყოს, თუმცა ზოგიერთ ფუქსიმონაცვლე ზმნაში: **ოსხური** „მივდივარ, მივალ“ — **მიზა** „წავესულვარ, მივლია“; **მიჩდა** „ვყოფილვარ“ (უფრო ზუსტად: „მიმყოფია“; ამ ზმნას მხოლოდ III სერიის, ინვერსიული ფორმები მოეპოვება) ომონიმიის ფაქტორი აღარ არსებობს; ამ ფუქსეთაგან

I სერიის ფორმები საერთოდ არ იწარმოება, ამავე დროს ძალიან ბუნებრივად აიგება ჩვენთვის საინტერესო ლექსემები: **ხეზნი** „ალბათ წასულა (იქნება, ნეტავ, რომ, ნუთუ, თუ...)“; „**ნიკო ეკგუპრ მეზელაშ მარე ლი, ერე ამერიკათედ ქა ხეზნი...**“ — „ნიკო ისეთი მოსიარულე კაცია, რომ ამერიკაშიც წასულა აღბათ“; **ხეზნოლ/ხეზნიუ** „წასულიყო იქნება...“: **ამერიკათედ ქა ხეზნოლ ნიკოს, ალას მაშონლელდას!** „ამარიკაშიც თუ იყო წასული ნიკო, ამას არ ველოდა!“ ასევეა ბუნების მოვლენების აღმიშვნელ ზმნათა ფორმებშიც: **შძუუშუ** „თოვს“ — **ხეშძუუშუ** „უთოვია ალბათ“; **ხეშდულლ** (ბზ.), **ხეშდულუ** (ბქ.) „ეთოვა ალბათ (იქნება...)“. მსგავსი სემანტიკის ზმნებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების დიურატიულობა და გამორიცხულია მომენტობრიობა. ცნობილ მოსაზრებათა მიხედვით, „III სერიაში ყოველი ზმნა ან ვნებითის სახეობას წარმოგვიდგენს, ან საშუალო-ვრცებითისას თუ საშუალოსას“ (არნ. ჩიქობავა), „**ინვერსიის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ამ ფორმათა მოქმედება გარდამავალი ზმნის უდლების პარადიგმაში, მხოლოდ სემანტიკური გადაარიანება იძლევა ამის შესაძლებლობას**“ (ბ. ჭორბენაძე).

საანალიზო მონაცემები სტატიკურ ზმნათა მყოფადუსრულის (I ფორმა) და პირობითუსრულის (II ფორმა) არა მხოლოდ მოდელს იმეორებენ, არამედ, ჩვენი აზრით, მათივე ინვერსიაქმნილი ფორმებია, ვინაიდან სემანტიკაც მიგვანიშნებს აღნიშნულ მწყრივებთან მათს მიმართებაზე: ეპისტომიკური მოქმედების განხორციელების დამაჯერებლობის, ერთგვარი პირობითობა), რომლითაც სვანური მყოფადუსრული ხასიათდება, ამ ფორმებისთვისაც ნიშანდობლივია; შდრ. **ხუამარუნი** (ბზ.), **ხუიმარუნი** (ბქ.) „ვამზადებდე იქნება“ — **მემპრი/მემპრი „იქნებ მიმზადებია“, მემპროლ/მემპრიუ** „იქნებ მემზადებინა“ (მეორე მხრივ, ამ ზმნათა სემანტიკაც და ფორმაც ძალიან მოგვაგონებს ძველი ქართულის III ხოლმეობითს: **ეთესის — ხელაში, ევნის — ხემშინი** (შდრ.: „...მისეან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარე მიიქცის“ — ...ესუა მიჩეშად მამაგუეშ ხემშინიუ, ეჩხენქა ნიჩუპრს განთე იჩმუდ (ბქ.), ასევე ხევსურულ დიალექტში დადასტურებულ (ა. ჭინჭარაული, ა. არაბული) ფორმებს: **ეთქვის, უჟბნის, ეჩოლაგის, ეკვეხინის, ეკამის, მეძახინიან...**).

აღნიშნული ფორმები მოეპოვება ყველა რელატიურ გარდამავალ

და ბრუნვაცვალებადსუბიექტიან აბსოლუტურ ზმნას. ეს ზმნები ცალსახად ინვერსიულია და მათი რეალური სუბიექტი I სერიაში მუდამ ნომინატიურ, II სერიაში კი ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. საანალიზო ფორმათა პერფექტულობა გამოხატულია წარსულში შესრულებული მოქმედების სტატიკური შედეგით აწმყოში (I ფორმა) ან წარსულშივე (II ფორმა), შესაბამისად ეს ფორმები I და II შედეგობითს (resp. თურმეობითი, რეზულტატიური) ეკედლება, მაგრამ მათგან სემანტიკურ განსხვავებას განაპირობებს ეპისტომიკურობა: წარსულში შერსულებული მოქმედება ან მისი სტატიკური შედეგი მთემელისთვის სავარაუდოა, დაუზუსტებელია: **სი უოშამინ ხეზნი გალდეთე?**... — „შენ სავარაუდოდ, რამდენჯერ ასულხარ (იქნები ასული) ხალდეში?“; **ოშა ლადარ ხეჭუდანოლ ისგუ მუს?** — „რამდენი წიგნი ექნებოდა წაკითხული ნეტავ (შენი აზრით, სავარაუდოდ...) მამაშენს?“

ჩვენი აზრით, აღნიშნულ ფორმებს მწყრივთა კვალიფიკაცია უნდა მიეცეთ და, ზემოთქმულის გათვალისწინებით, აქტიურ ზმნათა პარადიგმის III სერიაში განლაგდნენ; ტერმინოლოგიური სახელდების თვალსაზრისით კი, მათ, ვფიქრობთ, პირობით-შედეგობითი | და პირობით-შედეგობითი II შეესაბამება.

ნაწა მაჭავარიანი

უმდაბლესი ხერხემლიანების აუხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნაა და აღმინშვნელს შორის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარადაა ასახული ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო.

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რაც განსაზღვრავს სწორედ იმ თავისე-

ბურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოყოფა უმდაბლესი ხერხემლიანების — ქვეწარმავალთა, თევზებისა და ამფიბიების აღმნიშვნელი სახელწოდებები.

- ქვეწარმავალთა სახელები:

აინც'შა // აინწ'ოგ'შა, „ხვლიკი“, აკუუა „კუ“, ამათ, აშთანწ'ოგ (ტაპ.) „გველი“.

- თევზების სახელები:

აფხაზ, აკალმაპ // აკალმაპ (ბზიფ.) „თევზი“, აგულშაპ „გველეშაპი“, ალახ „თაბპერა“, ამათფსეგ „გველთევზა“, ამშეგნჲა „ზღვის ღორი“, აპყაშა „კობრი“, აჟიგნთხ ~ „ზუთხი“, აულაგურ // აოლაგურ „ორაგული“, აფაგასა „ჭიჭყნა“, აღლამ „ღლავი“, აშიაყ // აშეიყა ~ „კაბპალა“, აწებ'ოგუ (ბზიფ.) „სტაგრიდა“, გგცაფშ „ხონთქარა“.

- ამფიბიების სახელები:

ადაღ ~ „ბაყაყი“, ადაუ ~ „გომბეშო“, აჩაურადაღ ~ „მოსავლის ბაყაყი, ვასაკა“.

მოხსენებაში მოცემულია ჩამოთვლილ ლექსემათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი, გამოყოფილია ნასესხები ლექსიკური მასალა.

კობა მითაგვარია

თხზული სახელების წარმოების მოდელები ადილეურ ენაში

ადილეურ ენაში შედგენილი (რთული) სახელები აგებულების მიხედვით შეიძლება შემდეგი მოდელების მიხედვით დავაჯვუფოთ:

- ა) არსებითი სახელი + არსებითი სახელი

ამ ტიპის კომპოზიტები წარმოადგენს ატრიბუტულ სახელურ კომპლექსებს, რომლებშიც პირველი არსებითი სახელი მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს: მაგ., ლგ-წ „კაცის სახელი“ (ლგ „კაცი“ + წ)

„სახელი“); დან-შ „ბიბა“ (ზედმიწ. „დედა-მა“); ათა-შაგფხ „მამიდა“ (ზედმიწ. „მამა-და“).

სემანტიკური თვალსაზრისით ამ ტიპის რთული სიტყვები შეიძლება იყოს იდიომატური და არაიდიომატური: შდრ. თჲაშმაჭ „კვირა“ (ზედმიწ. „დვთის დღე“) და ანაშაგფხ „დეიდა“ (ზედმიწ. „დედა-და“).

კომპოზიტების წარმოების ეს მოდელი ყველაზე პროდუქტიულია.

- ბ) არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი

ამ ტიპის სიტყვაწარმოებაში ყველაზე ხშირად გამოყენება ზ' „ძველი“ და ჸ' „ახალი“, მაგ., თათ-ზ' „ბაბუა“ (ზედმიწ. „ძველი, მოხუცი მამა“, თათ „მამა“ + ზ' „ძველი“, „მოხუცი“); ლგბ გვჭ „ყოჩალი“ (ლგ „კაცი“ + ხ გვჭ „ყოჩალი“).

ამ ტიპის კომპოზიტებში მეორე კომპონენტად გამოყენებისას საკმაოდ პროდუქტიულია, აგრეთვე სიტყვა ს' გ „კარგი“: მაგ., ნასგვგუბ „ბეღნიერი“ (ნასგვ „ბეღი“, „ხვედრი“ + ს' გ „კარგი“) გ-დაბოლოება იკვეცება.

- გ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი

ამ ტიპის სიტყვაწარმოების მოდელი საკმაოდ გავრცელებულია. ამგვარად არის ნაწარმოები ზოგი ტოპონიმი, აგრეთვე, გვარები და სახელები.

მაგ., დაპ'პფსგნა (სოფელი) (დაპ'პ „ლამაზი“ + ფსგნ „წყარო“); ამ მეთოდით ნაწარმოებ სახელთა რაოდენობა შეზღუდულია.

- დ) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი

ასეთ კომპოზიტებში პირველი კომპონენტი აზუსტებს მეორეს მნიშვნელობას. ამ კვუფის რთულ სიტყვებშიც მეორე კომპონენტად ხშირად გვევლინება ზ' „ძველი“: მაგ., ადიღ. ღგნგზ' „გოლიათი“ (ღგნ „ღიღი“ + ზ' „ძველი“, „ბებერი“).

- ე) არსებითი სახელი + რიცხვითი სახელი

ამ ტიპის კომპლექსი ბევრი არ არის: მაგ., ბზაბა „ირემი“ (ბზ'პ „რქა“ + ბა „ბევრი“); მაზანგვ ბ „ნახევარმთვარე“ (მაზა „მთვარე“ + ნგვ ბ „ნახევარი“).

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ფრონეს ხეობაში განსახლებული გვარების წარმომავლობა და ლოკალიზაცია

ფრონეს ხეობა ისტორიულად ქართლისა და იმერეთის გზაგა-საყარზე მდებარეობდა. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერით“: ხოლო ვერტყვილისა და ამაშუკეთს შუა არს მცირე მთა მისრული კოლეურის მთამდე და ეს არის საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი“. ასე-თი დაყოფა შეიძლება პირობითი იყოს, რადგან ლიხის ქედის აღმო-სავლეთით ქართლში იმერელი მოსახლეობა საუკუნეებია ცხოვრობს. ამისი დასტურია „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“, ის-ტორიული დოკუმენტები და ჩაწერილი მასალები. მხარე ძირითადად ძლიერი ფეოდალების — აბაშიძეებისა და წერეთლების — საკუთრება იყო.

საანალიზოდ აღებული გვაქვს ძირითადად ქართლის დასავლე-თი მხარის ფრონების მცირე ხეობები, სადაც იმერლები ცხოვრობდნენ. მათი გვარებია: ტყემალაძე, კაპანაძე, კილაძე, მაჭარაშვილი, სა-მხარაძე, შავაძე... ასევე ეთნიკური და გეოგრაფიული სახელებიდან მომდინარე ეთნონიმური გვარები, მაგალითად: ღებელი, მევრელი, იმერელი, ლაშები.

მერაბ რობაჭიძე

ერთი იშვიათი სიტყვის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

1. „ვეფხისტყაოსანში“ სამჯერ გვხდება „ტერება“. ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენ სა-განგებოდ შევჩერდებით მასზე. მივიჩნევთ, რომ თავისი შინაარსით ეს სიტყვა ანთროპოლოგიური შინაარსისაა, კერძოდ, პიროვნების მამოძ-

რავებელ ძალთა მოქმედებას გამოსახავს და, როგორც ასეთი, საგან-გებო განმარტებას მოითხოვს.

2. ერთ შემთხვევაში ნესტანის ქებნით ხელმოცარული ტარიელი ეუბნება ასმათს და თავის ორ მონას: „აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქუენთა“. ისინი მიუგებენ: „უშენოსა ნუმცა ვნა-ხავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა“. ამ სიტყვის ახსნა ტარიელის მხლებლების პასუხშივე ჩანს. ა. შანიძის მიერ ეს ადგილი განმარტებულია ასე: „უპატრონეთ თქვენს თავსა“. მეორე შემთხვევაში ნესტა-ნი სწორს ტარიელს: „ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების“, ანუ ღმერთიმც უპატრონებს (= უშველის) ფატმანს, რო-მელმაც ჩემი თავი გრძნეულებს გამოსტაცაო. დაბოლოს, ავთანდილი ფრიდონს უწუნებს ქაჯეთის ციხის აღების გეგმას, როცა ეუბნება: „ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებრ ვქმნათ თავის ტერება“. ამ შე-მთხვევაშიც ა. შანიძე „თავის ტერებას“ განმარტავს როგორც პატრო-ნობას. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ღმერთი ეტერება ადამიანს, ორ შემთხვევაში კი თავის თავს ეტერება ადამიანი. სამივე შემთხვევა-ში სახეზეა „პატრონობის“, „/და/უფლების“, „შველის“ სემანტიკური ხაზი.

3. პირველ შემთხვევაში „პატრონი“, „უფალი“, როგორც ტერე-ბის განმარტება მომდევნო სტროფში გვეძლევა. მეორე შემთხვევაში „პატრონობის“ (= შველის) შინაარსი კონტექსტითვე იგულისხმება. მესამე შემთხვევაც ასევეა გაგებული.

4. მესამე შემთხვევაში „თავის ტერება“ გარკვეულ განმარტებას მოითხოვს. ეს შესიტყვება სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც სრულ შესატყვისს პოულობს ისეთ ცნებასთან, როგორიცაა „თავის უფლება“, რადგან „ტერება“ და „უფლება“, როგორც პოემის სათა-ნადო სტროფების ანალიზი გვიჩვენებს, მნიშვნელობით ერთმანეთს ფარავენ. „სხვაებრ თავის ტერება“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სხვა გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი გააზრება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში „თავის ტერება“ პიროვნების მთლი-ანობის /სისრულის/ შემცველი სიტყვაა, შემცველია თავის ფლობის (= პატრონობის, თავის უფლების) სემანტიკისა, იმ იდეისა, როცა აღამიანს შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება, ჰეშმარიტებას-თან ზიარება. მაშასადამე, ავთანდილის ნათქვამი: „სხვაებრ ვქმნათ

თავის ტერება“ ნიშნავს სხვაგვარად „გამოვარჩიოთ“, სხვა გადაწყვეტილება მივიღოთ. ა. შანიძის მიერ ამ შესიტყვების განმარტება „თავის პატრონობის“ მნიშვნელობით სწორედ ასე უნდა გავიაზროთ, რადგან საჭირო ხდება იმის განმარტება, თუ რა იგულისხმება „პატრონობაში“.

5. საყურადღებოა, რომ **„ტერება“** რუსთაველამდე ქართული ლიტერატურის ძეგლებში არ დასტურდება. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. 6. მარი მას „ვეფხისტყაოსანში“ სომხური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს (სომხ. **„ტერ“** ნიშნავს „უფალს“, „პატრონს“). როგორც ჩანს, ამავე თვალსაზრისზე დგას ა. შანიძე, როცა **ტერებას** განმარტავს როგორც „პატრონობას“, თუმცა წარმომავლობაზე არაფერს ამბობს. რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში მოწოდებულია სხვა შეხედულებებიც. **„ტერება“** რუსთაველის მიბაძვით არაერთხელ გვხვდება აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში, აქვე დასტურდება **„ტერ“**, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ ვერ ვხვდებით. შესაძლებელია პოემის კონტექსტური ანალიზი ადასტურებდეს 6. მარის შეხედულებას ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ. ასეთი დასკვნის წარმოდგენა უნდა აძლიერებდეს თვალსაზრისს რუსთაველის, როგორც „მესხი მელექსის“ შესახებ. ამავე თვალსაზრისს აძლიერებს სომხური წარმომავლობის **„ტანუ ტერ“**(= მამასახლისი) კომპოზიტი ბაგრატ მეოთხის XI ს-ის საბუთში. მივიჩნევთ, რომ „ტერება“ სიტყვის წარმომომავლობის შესწავლა უფრო გაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს.

მურმან სუხიშვილი

ერთი საფეიქრო ტერმინის შესახებ ქართველურ ენებში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. VII, 1962) **შელოს** („ორ ხელზე ან წყრთაზე ამოკეცილი ძაფის კონა“) საილუსტრაციოდ დამოწმებული ხალხური ლექსი — დაიჩინა ფეიქრმა,

ჩამოყარა ცხარე ცრემლი: ვაი დედა-ჩემის მზესა, შულოს წავაპარე ხელი — ხელოსნის მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევით („შულოს წავაპარე ხელი“) გამოწვეულ მოანიებას გვიმხელს და ჩვენში ამ პროფესიის დიდ და მყარ ტრადიციებს გულისხმობს.

„შინამრეწველობის“ მასალების მიხედვით ტერმინი **შელო** (სახელური და ზმნური ფორმით) თითქმის მთელ საქართველოში ჩანს გავრცელებული (კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, მესხეთი, ერწო-თიანეთი, საინგილო) როგორც სახელური, ასევე ზმნური ფორმით და სინონიმებიც უჩანს. შიგნი კახეთი: „დამახულ ბაწარს, რომელიც გორგალზე გვაქვს დახვეული, და ვაშულო ვებთ და მემრე ვლებავთ. შულო ებთ ს ხიფებსაც ეძახიან“ (მასალები, 1982, 30), „გორგალს და ვაშულო ვებთ, მერე შულო ებს შევღებავთ, სხვადასხვა-ფრად“ (მასალები, 121), %. იმერეთი: „ქულაზე რომ პატარა ბამბას მოწყვეტენ, მერე რთავენ, მერე მომუხავენ, ე.ი. დააწყობენ ძაფებს შულო ების გასაკეთებლად, მერე დაახვევენ შულო ებს“ (მასალები, 164), ქვ. რაჭა: „ცანდს (შულოს აც უწოდებენ) დაქსელილი ძაფია...“ (მასალები, 190), %. რაჭა: „ბამბი ძაფზე გვრიჭას არ ვიტყვით, იმას შულო ს ვეძახით“ (მასალები, 190)...

შელო ძევს ქართულში არ ჩანს. დადასტურებულია „სიტყვის კონაში“: **შელო** — ნასთის ბოკელი, ნ. და დ. ჩუბინაშვილები საბას განმარტებას იმეორებენ.

ღიალექტებიდან ყურადღებას იქცევს %. იმერულის **შვილო**, **შულო**, სამუხველზე... ეხვეოდა ძაფი შვილოთ და მას ამოავლებდნენ ფეილის ფაფაში, აღარ წყდებოდა საქსოვში... დაშვილო-ებული შულო ებად დახვეული ძაფი. ერთ გირმაქა ბამბას გაატანდა: სახში მეიტანე დაშვილო ებული იო (ძოწენიქ, 1974), ქიზიყურში დასტურდება დერივაციული **საშულავე**||**შაშულავე** — საფეიქროში შულოდ, კითების ამოსახვევი იარაღი... (შდრ., **შელო** — ერთი გაბმა ძაფი) (მენთეშაშვილი, 1948)... შდრ. ქვ. იმერ. **საშვილოე** (მასალები, 165), **საშვილო** (მასალები, 161, 165) და სხვ.

ქვემო იმერულში დადასტურებულია **შოლო**, **შოლა** ვარიანტებიც: „მერმედ შიგ ჩავდებდით შოლოს აბრეშუმს ან მატერიას“,

შოლას ვეძახოდით ბამბით დასტულს“ (მასალები, 186; 180).

შოლა გვაქვს ჯავახურშიც: „გაცვეთილი ქალამნის ჩასაფენი ნაჭერი“ (მარტიროსვი, 1984).

ქართ. **შულ-||შვილ-** ფუძის შესატყვისი უნდა იყოს მეგრ. **შევილ-, შევილა||შევილუა ძაფი (შევილა||შევილუა ძაფის)** ერთი ამოქნა (ამორება) ძაფი... **შევილები-ი** — დაპერტილი. თენა მიშუხენა სერით შევილები (მ. ხუბ., გვ. 138) — ეს უზით ღამით გაპერტილ ბამბაში... (ქაზაია, III, 2002); **შევილანს** „მშვილდავს“, „ბამბას პენტაცს“ არნ. ჩიქობავა ნასახელარ ზმნად მიაჩნევს (ჩიქობავა, 1942, 99). ამ დაკავშირების თავისებურება ის იქნება, რომ **შევილ-** ფუძეში მომდევნო ბაგისმიერი უ-ს გავლენით არ მოხდა **შევილი** კომპლექსის გასისინება (გამყრელიძე, 1959, 71). გასისინების პროცესი არ განხორციელებულია ქართ. **მ-შვილ-დ-ის** კანონზომიერ მეგრ. **შევილ-** ფორმაშიც (გამყრელიძე, იქვე). აქ ბუნებრივად დგება საკითხი ქართულში **შულ-ო/შვილ-ო** და **მ-შვილ-დ-** ფორმათა მიმართების შესახებ.

შესატყვისობათა ამ რიგში ჩადგება სვანური **სგური**: „ახლო წარსულში საცვლები, უმთავრესად კანაფის ძაფისაგან იქსოვებოდა, რომელსაც ეძახდნენ ს გვირს“ (მასალები, 211), „კანაფის ძაფისაგან მოქსოვილ ს გვირს [ხამი ტილოს] ნაჭერს ჭერ გარეცხავენ...“ (მასალები, 214).

სგური (-იშ, სგურად ბ.ქ.), **სგური** (-ალ) ლშხ. — ხამი ტილო; კანაფის ძაფის ქსოვილი. ს გური რი ურუ ოხტლეთ ნაბპოზდ (ბზ. 124) — საღამომდე ტილოც მომიქსოვეო. სგურიში ესერ ფატშნ ი ეჭიშ? მეკშდე (ანდ.) — ხამი ტილოს პერანგი და — ისიც მოკლეო. სგური ფატან ხაქუ (ლშხ.). — ხამი ტილოს პერანგი აცვია... (სვან. ლექს., 2000).

სვან. სგური- ქართ. **შუილ-** და მეგრ. **შევილ-** ფუძეების კანონზომიერი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია. ქართული შიშინა წმი ფონემის შესატყვისი შე კომპლექსის გასისინება სვანურში განხორციელდა თ. გამყრელიძის წესის მიხედვით: *შუ > სგ.

სვანურ და ქართულ ფუძეთა სხვაგვარი შესატყვისისათვის იხ. ჩუხუა, 2000-2003, 2000.

თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

მრავლობითი რიცხვის -ბი სუფიქსი ფრ.-მ. მაჯოს გრამატიკაში

მე-17 ს. იტალიელი გრამატიკისი ქართული ენის სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნად **-ები** და **-ბი** სუფიქსებს გამოყოფს. -ი დაბოლოება სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რაც კარგად ჩანს ნაბრუნებ სახელთა პარადიგმებში. გრამატიკულად ეს შეიძლება ასე ჩაიწეროს {-ებ} — /-ებ/ ~ /-ბ/. -ებ იქნება თანხმოვანფუძიან სახელთა მრავლობით რიცხვში, -ბ კი — ხმოვანფუძიანებთან. ყურადღებას იქცევს /-ბ/ ალომორფი, თუ მას რეალურ ფაქტად მივიჩნევთ (დედა-ბ-ი, გოგო-ბ-ი...). ფრ.-მ. მაჯოს გრამატიკა იწერებოდა სამეგრელოსა და გურიაში (ძირითადად).

რამდენად არის შესაძლებელი /-ბ/ მრავლობითი რიცხვის ნიშნად? ქართულში (ისევე როგორც ზანურში) არაბუნებრივია ხმოვანთა კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში, რის გამოც ხდება მორფონოლოგიური ცვლილებები საზღვრის ხმოვანთა კომპლექსებში, კერძოდ: (1) რედუქცია: ძმაები > ძმები, (2) რეგრესული ასიმილაცია: დეიდაები > დეიდები, (3) დისიმილაცია: ხეები > ხიები > ხები, (4) დიფთონგიზაცია: პალოები > პალუები > ეზუები > ეზუები, (5) განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრესული ასიმილაცია: განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრესული ასიმილაცია გლობულურში:

რაღაცაები > რაღაცაბი > რაღაცაბი.

იდენტური ხმოვნები ზოგჯერ გრძელ ხმოვანს ქმნიან, რაც მთავრდება მარტივ ხმოვანში გადასვლით (გურული მორე || მორე < მეორე). აქვე შეიძლება გავიხსენოთ ჭანურში დადასტურებული -ეფ > -ფ მრავლობით რიცხვში ხმოვანფუძიან სახელებთან (ბუცხა-ფ-ე).

დედაბი ტიპის ფორმათა მისაღებად შეიძლება დაიშვას ორი გზა: (1) პროგრესული ასიმილაციით დედაბი > დედაბი > დედაბი; (2) რედუქციით დედაბი > დედაბი.

ფრ.-მ. მაჯოს თითქმის არ ეშლება ხმოვანთა ხმარება ქართულ სიტყვებში; იდენტურ ხმოვნებს ხშირად მხოლოდ ერთი ხმოვნით გამოხატავს (მეპები „მეფეები“).

მიხეილ ქურდიანი

დალესტნურ ენათა ნიკო მარისეულ კვალიფიკაციათა ფონეტიკური საფუძვლები

აყადემიკოსმა ნიკო მარმა დალესტნურ ენათა კვალიფიკაცია ფონეტიკური ნიშნების მიხედვით ორჯერ მოახდინა: ერთხელ მიაკუთვნა „სპირანტულ“ ტიპს (resp. შტოს), ნახურ და აფხაზურ-ადილურ ენებთან ერთად; შემდეგ კი „სონორულ“ ტიპს, ნახურ ენებთან ერთად.

ორივე ეს კვალიფიკაცია თუმცა ფონეტიკურ ნიშნებს ემყარებოდა, მაგრამ თავად ეს ნიშნები ენათა სხვადასხვა ფონეტიკურ მახასიათებელზე იყო ორიენტირებული.

აყად. ნ. მარს საზოგადოდ სწორი თავისი კვლევის ოდენ შედეგებისა და დასკვნების გამოქვეყნება, კვლევის პროცესებსა და პროცედურებზე თუ არგუმენტებზე ყოველგვარი მითითების გარეშე, გულისხმობდა რა, რომ სპეციალისტთათვის არანაირი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო დასკვნის წანამძღვართა ან ანალიზის მეთოდების ამოცნობა და გათვალისწინება. დალესტნურ ენათა მარისეული ფონეტიკური კვალიფიკაციები ამ მხრივ გამონაკლისი არ არის და წინამდებარე ნაშრომი მათი ახსნის მცდელობას წარმოადგენს.

„სპირანტული ტიპი“. პირველად ტერმინი „სპირანტული“ ტიპი ნ. მარმა გამოიყენა სვანური ენის დასახასიათებლად, როდესაც მან სვანური ამ ნიშნით დაუპირისპირა „სიბილანტური“ ტიპის (resp. შტოს) ქართველურ ენებს — ქართულს (სისინა ენა) და მეგრულ-ჭანურს (შიშინა ენა || ენები).

თუმცა თავისი ამ დებულების გათვალსაჩინოებისათვის მის მიერვე მოხმობილი მაგალითები ასეთი დასკვნის უდავობას ვერ უზრუნველყოფნენ, მაგრამ სვანურის გარდა „სპირანტულ“ ტიპში დალესტნური (resp. ხუნძურ-ანდილურ-დიდოური), ნახური და აფხაზურ-ადილური ენების შეყვანა იძლევა საფუძველს სანდოობის მაღალი ხარისხით განვსაზღვროთ, თუ რას გულისხმობდა აკად. ნ. მარი ამ ტერმინის ქვეშ.

მის მიერ „სპირანტულ“ ტიპში გაერთიანებულ ენათა აბსოლუტურ უმრავლესობას მეტ-ნაკლებად ახასიათებს „დეზაფრიკატიზაციის“ ანუ ხშულ აფრიკატთა „სპირანტიზაციის“ ფონეტიკური პროცესის რეალიზებულობა ან ტენდენცია (ლაპარაკია დასაბამიერ, ანუ პირველად აფრიკატთა დეზაფრიკატიზაციაზე, თორემ ამ და სხვა კავკასიურ ენებში შეიძლება საწინააღმდეგო პროცესიც იყოს პოვნიერი: უკანანისმიერ ხშულთა პალატულური აფრიკატიზაცია — გ ჸ გ > გ ჩ ჸ, როგორც ეს გვაქვს „სპირანტული ტიპის“ ენებიდან სვანურში და ადილურში).

დასაბამიერ ხშულ, ძირითადად შიშინა აფრიკატთა სპირანტიზაციას ადგილი აქვს აკად. ნ. მარის მიერ „სპირანტული ტიპისათვის“ მიკუთვნებულ ენებში:

სვანურში: გ > ჟ; ჩ > შ; ჭ > ; ძგ/ჸგ > სგ; ცქ/ჩქ > შგ; წქ/ჭქ > შქ.
ჩქნურ-ინგურში: გ > ჟ; ჩ > შ;
ბაცბურში (წოვა-თუშურში): გ > ჟ; ჩ > შ;
ხუნძურში: *ძ > ზ; *ჸ > ჟ; (დიალექტებში აგრეთვე): ც > ს; ცჸ > სჸ; ჩჸ > შჸ.

ანდილურ ენებში: ც > ს; ჩ > შ; ცჸ > ს; ჩჸ > შჸ;

დიდოურ ენებში: ც > ს; ჩ > შ; ცჸ > ს; ჩჸ > შჸ;

ადილური ენის დიალექტებში: ჩ > შ; ჩ > შ‘; ჸ > ჟ.

და ა. შ.

ადილურში და ხუნძურ-ანდილურ-დიდოურ ენებში დასაბამიერი აფრიკატების კვალდაცვალ დეზაფრიკატიზაციას ექვემდებარებიან აგრეთვე მეორეული ფორმაციის ანუ უკანანისმიერ ხშულთა პალატიზაციის გზით მიღებული აფრიკატებიც.

„სონორული ტიპი“. ტერმინ „სონორული ტიპის“ გამოყენებამ დალესტნური და ნახური ენების დასახასიათებლად გაუგებრობა გამოიწვია. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წერდა:

„ნ. მარმა სცადა იაფეტურ-ქართველური ენები ფონეტიკური ნიშნის მიხედვით დაეხსასიათებინა: ქართული სიტყვის ფუძე თუ ს ი - ს ი შ ი ნ ა თანხმოვნებს შეიცავს (მაგ. სული), ჭანურსა და მეგრულს შ ი შ ი ნ ა თანხმოვანი მოუდის (შური „სული“), სვანურს კიდევ

„სპირანტი“ (უკეთ: ფშვინვიერი უკანაენისმიერი) თანხმოვანი (**ქვინ „სული“**).

, „სისინა“, „შიშინა“, „სპირანტული“ და მათი შეჯვარება („შიშინა-სპირანტული“, „სისინა-სპირანტული“) ნ. მარის ვარაუდით ნიშანდობლივი იყო ისეთი იაფეტური ენებისათვის, როგორიცაა ჭართული, ჭანური, მეგრული, სვანური და აფხაზური.

ამას დაემატა „ს ო ნ ო რ უ ლ ი“ ტიპი, როდესაც იაფეტურ ენებად გამოცხადდა ნახური და დაღესტნური ენები.

ნ. მარის ეს თვალსაზრისი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ რეალური მნიშვნელობა მას ჭართულისა და მეგრულ-ჭანურისთვის თუ აქვს; სვანურში, აფხაზურში სპირანტული ფენის საილუსტრაციო მასალაც კი მცირეა, ხოლო ნახურ და დაღესტნურ ენათა სონორულობაზე მსჯელობა ხელშესახებს არაფერს იძლევა“ (ჩიქობაგა 1979: 31).

ზემოთ ვცადე გამერკვია, თუ რეალურად რას გულისხმობდა ნ. მარი სვანური და სხვა ენების „სპირანტულ ტიპად“ სახელდებისას, დამოუკიდებლად მის მიერ მეტისმეტად დაუდევრად შერჩეული საილუსტრაციო მასალისაგან. ახლა ვეცდები ვაჩვენო, თუ რატომ და რამდენად იძლევა ხელშესახებს ნ. მარის მსჯელობა დაღესტნურ ენათა სონორულობაზე.

დღეს სინქრონიაში თანაარსებულ იბერიულ-კავკასიურ ენათა-გან მხოლოდ ჭართველურ ენებს აქვთ სრული პარადიგმა ე. წ. ორ-წევრა ჰარმონიული დეცესიური კომპლექსებისა:

A ტიპი. ხშული + ხშული

ბგ	ფქ	პკ
დგ	თქ	ტკ
ჟგ	ცქ	წკ
ჯგ	ჩქ	ჺკ

B ტიპი. ხშული + სპირანტი

ბღ	ფხ	პყ
დღ	თხ	ტყ
ძღ	ცხ	წყ
ჯღ	ჩხ	ჺყ

ამ ტიპში მკვეთრებთან ფიქსირებული ფარინგალური მკვეთრი ყ არტიკულაციურად ხშულთა რიგშია (შდრ. თ. გამყრელიძე 2000 : 249-256), ფუნქციონალურად კი სპირანტის როლში გამოდის.

C ტიპი. სპირანტი + ხშული

ზგ	სქ
ზგ	შქ

D ტიპი. სპირანტი + სპირანტი

ზღ	სხ
უღ	უხ

ჰარმონიული დეცესიური კომპლექსები ორგვარი წარმოშობისაა ჭართველურ ენებში: 1) დასაბამიერი და რედუქციის შედეგად მიღებული ან მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილი, მაგრამ განსახილველი საკითხისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

სპირალულად და ფაკულტურულად დეცესიური ჰარმონიული კომპლექსები გვხვდება აფხაზურ-აბაზურსა და ნახურ ენებში. მაგრამ როგორც აღვნიშნე, სისტემურ ხასიათს ისინი მხოლოდ ჭართველურ ენებში ატარებენ და ენათა ამ ჯგუფის ერთგვარ მარკერს წარმოადგენენ.

ამგვარივე მარკერს დაღესტნური ენებისას წარმოადგენენ ორ-წევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა ერთი წევრი აუცილებლად **სონორია!**

დაღესტნურ (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ) ენათა „ორწევრიანი ძირეული კონსონანტური ჯგუფების განხილვის შედეგად გამოვლინდა მათთვის დამახსაიათებელი შემდეგი სტრუქტურული თავისებურებანი: ძირეული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ყველთვის სონორი თანხმოვნითა წარმოდგენილი“ (ბარნოვი 2005 : 17).

ვფიქრობ, სწორედ დაღესტნურ ენათა ამ თავისებურებას გულისხმისა და აკადემიკოსი ნიკო მარი, როდესაც დაღესტნური ენები „სონორულ ტიპს“ მიაკუთვნა, მით უმეტეს, რომ დეცესიური ჰარმონიული კომპლექსების არსებობა, როგორც ჭართველურ ენათა სპეციფიკური მახასიათებლისა, პირველად სწორედ ნ. მარს ჰქონდა შე-

მჩნეული: „წინაენისმიერი თანხმოვნები + უკანაენისმიერი თანხმოვნები (სწორედ ამ მიმდევრობით) გვაძლევს ჰარმონიულ ჯგუფებს“.

მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი

ზრუნვის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის

1) ქართული **ზრუნვის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში შემოკრებილი ლექსიკური ერთეულები სამი სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

I. **მზრუნველობა** — როდესაც ძალისხმევა მიმართულია მოვლა-დახმარებისკენ (საკუთარი თავისა თუ სხვისათვის). ამის დასტურია ქველი ქართული: **ზრუნვა**, „გარება, ღვაწლი, რაიმე ღონისძიება“ და **ზრუნვის დება** „ზრუნვა“ (ი. აბულაძე), **მზრუნველობა** „კურატორობა, მეურვეობა“, **მზრუნველი**, **მზრუნვავი** „მომვლელი“, **თანამზრუნველობა** „ზრუნვა, დახმარება“ და **თანამზრუნველი** „ჭირისუფალი“ (ზ. სარჯველაძე), **სამზრუნველო** „მონასტერი“ („სამზრუნველოს წერილთა შინა მონასტერისა უწოდენ. მონასტერი ლათინურია, ქართულად სამზრუნველო ჰქვიან მონაზონთ (მონოზანთ) საკრებულოსა“ — სულხან-საბა); შდრ.: ქართ. **ზრუნვა** (\leftarrow ზრ.) და სვან. ლი-ზარ-ე „ზრუნვა; დაცვა“ (ფენრიხი-სარჯველაძე).

II. **საზრუნვავი** — როდესაც ძალისხმევა იწვევს ურვა-წუხილსა და შფოთს. ამის დასტურია ქველი ქართული: **ზრუნვა, დაზრუნვა** „შფოთი, აღქრა. ურვა, წუხილი“; **საზრუნვი**, **სადარდო** (ი. აბულაძე), **ზრუნვა** ..(მათე 6, 25) შიში დაცემისა, გინა ნავლვლად(სა), გინა ინალვლა“, **საზრუნავი** „სანავლვლო საქმე“ (სულხან-საბა), **შეზრუნ(გ)ება** „შეწუხება, დალონება, ურვა, შეშფოთება“, **შეზრუნვებული** „შეწუხებული“ (ი. აბულაძე), **მიმოდაზრუნვა** „ფუსფუსი“, **მრავალმზრუნველი** „დაუდევარი, მოფუსფუსე“ და **მრავალმზრუნველობა** „დიდად ზრუნვა“ (ზ. სარჯველაძე); შდრ.: ქართ. **ზარ** „დაზარება“ და სვან. ლი-ზარ „მოწყენა, მობეზრება“ (გ. კლიმოვი).

ამავე სემანტიკურ მიმართულებას განეკუთვნება უქონლობის **უ-ო** თავსართ-ბოლოსართიანი ქველი ქართული **უზრუნველი, უზრუნვისაგავი**, **უზრუნველად** „უზრუნველად, უშფოთველად, უნაღვლელად, უურველად“ **უზრუნველობა** „უზრუნველობა, უურველობა, უდარდელობა, სიმშვიდე; თავის უფლება ზრუნვისაგან, უნაღვლობა, დაუდევნელობა, უთაურობა“, **უზრუნველ-ყოფა, უზრუნველ-ქმილი** „დაშვიდება, შეუწუხებლობა, დაწყნარება; უდარდელ-ყოფა; უნაღვლო-ყოფა, უნაღვლო-ქმილი“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, დ. ჩუბინაშვილი).

III. **ხმიანობა** — როდესაც ძალისხმევას შემაწუხებელი (პრომის, შიშისა და ძრწოლის გამომწვევი) ხმის გამოცემა ახლავს. ამის დასტურია ქველი ქართული: **ზრუნი** ..გოდების ბანი“ (სულხან-საბა), „გოდება; გოდების ბანი მტირალთაგან“ (დ. ჩუბინაშვილი), „ზარის გოდების ბანი“ (ივ. ჯავახიშვილი), **ზრიალი** „საზარელი მრავალმიანობა“ (სულხან-საბა), ქართ. **ზრ-იალ-ი** და მეგრ. **რჟ-იალ-ი** (\leftarrow ურ-იოლ-ი) „ხმიანობა“ (გ. კლიმოვი, ფენრიხი-სარჯველაძე). აქვე უნდა მოვიხმოთ ქველი ქართული **ზრზ-ოლა** „ძრწოლა“ და ქართ. **ურუ-ოლა** „ურუ-ოლა, ცახცახი“, ქველი ქართული **ზრზ-ენ-ა** გაღიზიანება, გალალება“, **ზრზ-ინ-ება** ..წინააღმდეგობა, ურჩობა“ და ქართ. **ზრზენ-/ზრზინ-** „შეშფოთება, აღგზნება“, მეგრ. **ზგრზგნ** „ხმაური, გუგუნი“;

ამავე სემანტიკური მიმართულებისაა **ზარის** („სპარს. ელდა, ანაზდი შიში, განკრთომა; ტირილი, გოდება“ — დ. ჩუბინაშვილი) შემცველი ლექსიკური ერთეულები: **საზარელი** „ზარის დასაცემელი სასმენელი ესმას, ანუ საოცარი რამე იხილოს, შიშისა და წყენისა ზარმა ესრე შეიპყრას, დიდხანს შემშთვარივით იყოს“ (სულხან-საბა), „საძაგელი, საშინელი“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე), **ზარი** „საზარელისაგან შიში“ (სულხან-საბა), „შიში; შეძრწუნება“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე), **ზარის-დაცემა** „შეშინება“, **ზარ-დაცემული** „შეშინებული“, **ზარის-განკდა** „შეშინება, შეკრთმა“, **ზარ-განკდილი** „შეშინებული, შეძრწუნებული“. **ზარ-კდომა** ..ელდის ცემა“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე), ასევე ფრაზეოლოგიზმები: **შიშისზარი დაეცა, თავზარი დაეცა**; შდრ.: ქართ. **ზარ**-ი და მეგრ. **ზორ**-ი „საყვირის ხმა“; ქართ. **უ-ზარ-მა-ზარ-ი** და მეგრ. **ზორ**-ი „დიდი“ (ფენრიხი-სარჯველაძე), შდრ. ასევე **ზან-ზარ-ი**.

2) **ზრუნვის** წარმოდგენილ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში აშ-კრად იკვეთება დაპირისპირებული სემანტიკური პარადიგმები: ერთი მხრივ, „**მოვლა-პატრონობის მიზნით გაწეული საზრუნველო საზრუნველო საქმე**“ (I მიმართულება) და, მეორე მხრივ, „**შემაწუხებელი საზრუნვა საქმე**“ (II და III მიმართულებები).

შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალა (წმიდა წერილიდან), წმიდა მამათა კომენტარითურთ, ამოწმებს საანალიზო სემანტიკურ პარადიგმებში აღბეჭდილ დაპირისპირებას: გამიჯნულია ამსოფლიური (ოდენ ხორციელი) და სულისათვის სარგო (საცხოვნებელი) საგანი ზრუნვისა თუ საზრუნვა ისათვისა.

ნატო შავრეშიანი

-მოშ ნაწილაკის სინტაქსური ფუნქციისათვის სვანურში

სვანური ენა მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებითა და ამ ნაწილაკთავან წარმოებული უარყოფითი ნაცვალსახელებით, უარყოფითი ზმნიზედებითა და კატერებით. სიმრავლეს დიალექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა წინადაღების უკუთქმითობა.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ **-მოშ ნაწილაკზე**, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინადაღებაში უკუთქმითობის გამოხატვის თვალსაზრისით.

მოქმედების შეუძლებლობის გამოსახატვად ენა იყენებს უარყოფით ნაწილაკებს: **მშდშ | მშჩ** (ლნტ.), **დეშ** (ჩოლ.), **დოშ**, **დეშმა**, **დეშმამ**, **დეშსა** (ლშხ.)... „ვერ, ვერა, ვერაფერი“; უარყოფით ნაცვალსახელებს: **დეშიარ** | **დეშრ** | **დეშმარ** (ბზ., ლნტ.), **დეშპრ** (ჩოლ.), **დეშრ** | **დეშერ** | **დეშერდ** | **დეშერდმოშ** (ლშხ.), **დაშრმოშ** (ბზ.), **დაშრმოშ** | **დაშრდმოშ** (ბჯ.), **დარმოშ** | **დარდმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერავინ“; **დეშსა** (ზს.), **დეშმა** (ლხმ.), **დეშმამოშ** | **დესამოშ** (ბზ., ჩოლ.) **მანგუეშმოშ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“, **დარდმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერავინ“; **დემემოშ** (ჩოლ.) **დემეგმოშ** (ბქ.) „ვერსად“; **დემხენმოშ** (ჩოლ.) „ვერსაიდან“; **დემჟიმოშ** | **დეშიმჟიმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფრით“ და ა. შ. მაგ.:

(ლშხ., ჩოლ.) „ვერასდროს“; **დემჟიმოშ** | **დეშიმჟიმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფრით“...

აღსანიშნავია, რომ შეუძლებლობის შინაარსის გამოხატვის თვალსაზრისით ჩოლურული ყველაზე მწირ სურათს გვიჩვენებს, „**ვერ**“ ნაწილაკს მხოლოდ **დეშ** ფორმა გამოხატავს, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ფუნქციის გამომხატველ სხვა საშუალებებს (სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულში), ისინი იწარმოება კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე მოშ ნაწილაკის დართვით: **დესამოშ** | **დესამამოშ** (ბზ., ჩოლ.) **მანგუეშმოშ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“, **დარდმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერავინ“; **დემემოშ** (ჩოლ.) **დემეგმოშ** (ბქ.) „ვერსად“; **დემხენმოშ** (ჩოლ.) „ვერსაიდან“; **დემჟიმოშ** | **დეშიმჟიმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფრით“ და ა. შ. მაგ.:

დესამოშ ოხმექერ „ვერაფერი ვერ გავიგე“, **დესამამოშ** ოხვერჩ „ვერაფერი მოვახერხე“, **დეშიმჟიმოშ** ოთლორაუ „ვერაფრით მოვატყუე“, **დემეგმოშ** ოხურთხა „ვერსად უპოვია“, **დემჩიქსმოშ** ოხერმ აგის „ვერასდროს დავიჭირე სახლში“...

სვანურში, ქართულის მსგავსად, გვხვდება ფორმობლივად გამოხატული ორმაგი უარყოფა. სწორედ განსახილველი ნაწილაკი **-მოშ** დაერთვის უარყოფით ზმნისართებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს და მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით გამოიხატება ორმაგი უარყოფითი ფორმები, მაგ.:

დაშრდმოშ ჩუემინ (ბქ.) „ვერავინ ვერ გააკეთა“
მანგუეშმოშ ენმექრე (ბქ.) „ვერაფერი ვერ გაიგო“
დემჟიმოშ ონკუედ (ლშხ.) „ვერაფრით ვერ მოვედი“
დესამოშ ოხსახ (ჩოლ.) „ვერაფერი ვერ მოვახერხე“
დემხენმოშ ონჯუ (ჩოლ.) „ვერსაიდან ვერ მოვიტანე“...

ხოლო ცალკე აღებულ მოშ ფორმას (დიალექტების მიხედვით) სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს, მაგ. „ცალკე, სხვანაირი, ცუდი“, ანუ მას, ცალკე აღებულს, უარყოფითობის შენიშვნელობა არა აქვს.

მოშ ნაწილაკი დაერთვის დეთად (ლნტ.), **დეთად** (ლშხ., ჩოლ.) „არც“ კავშირსაც და მასაც შეუძლებლობის სემანტიკას ანიჭებს, მაგ.: **დეთად მოშ** „ვერც“.

უნდა აღინიშნოს, რომ **მოშ ნაწილაკის ფუნქცია** შეუძლებლობის გამოხატვით არ შემოიფარგლება, იგი ამავე დროს შეიძლება შეგვედეს წართქმით წინადაღებაშიც, ხოლო როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ძირითადად გამოიყენება პირობით წინადაღებებში და ახლავს კავშირებს. მაგ.:

ეჩას ე მოშ ჩუ ხადგპრი, ეჩქა ისგვათან დფრ შრი (ბზ. პრ. 231) „იმას თუ მოკლავ (ე. ი. მოკვლას თუ შეძლებ), მაშინ შენისთანა არავინ იქნება (არის)“.

ლახ მოშ ჩუანჯდე, ეჯის მი ლოხტულანი ნაგრჩს (ჩოლ.) „თუ ჩამო-იტან (ე. ი. ჩამოტანას თუ შეძლებ), იმას მე მოვაცემინებ გასამრჯელოს“...

და არაიდენტურსაც (მაგ. აფხ. აგზა სიტყვაში აგზაში „ჭიშკარი“ და ჩერქ. ჭი – სიტყვაში ჭიაბუჟ „ჭიშკარი“).

სპირანტებში არსებული ვითარება საგანგებო განხილვას მოი-თხოვს.

ვაჟა შენგელი

აფხაზური უკანაენისმიერი თანხმოვნების ჩერქეზული შესატყვისებისათვის

უკანაენისმიერი თანხმოვნების ფუნქციონირების თვალსაზრი-სით აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში სხვადასხვაგარი ვითარება გვაქვს.

აფხაზურსა და აბაზურში უკანაენისმიერთა რიგში წარმოდგენილია 15 თანხმოვანი — 9 ხშული და 6 სპირანტი; მათ შორის 5 მარტივი თანხმოვანია (გქე ღხ), 5 — პალატალიზებული (გქე ღწ) და 5 — ლა-ბიალიზებული (გიქიღიღხ). ჩერქეზულ სალიტერატურო ენებსა და დია-ლექტთა მეტ წილს უკანაენისმიერი მარტივი ხშული თანხმოვნები არ გა-აჩნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე სიტყვაში ს და შა სპი-რანტთა მეზობლად ყრუ ხშულთა შემონახვის ფაქტს (მაგ., ადილ. ფსქ „ხველა“, შაქ „ხბო“); მხოლოდ ყაბარდოული ენის ყუბანის დიალექტის ბაბუგოის კილოკაგშია დაფიქსირებული მარტივი და პალატალიზებული ხშულების ფაკულტატური მონაცვლეობის ფაქტი (მ. კუმახვი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, აფხაზურ-აბაზური უკანაენისმიერი ხშულების შესატყვისად ჩერქეზულ ენებში პალატა-ლიზაციის შედეგად მიღებული ჭ ჩ ჭ გვჭონდეს (მაგ., აფხ. აბგა : ჩერქ. ბაჭა „მელა“), მაგრამ სხვაგვარი შესატყვისობაც დასტურდება, კერძოდ, აფხ. ჭ : ჩერქ. ბ' (აფხ. აჭგთა „სოფელი“ : ჩერქ. ბ'თვ — „ბოსტანი“, აფხ. -ჭა < *-ჭა : ჩერქ. — ბ'ა — მრ. რ. მაწარმოებელი); ამოსავლად ჭ ივარაუდება.

რაც შეეხება ლაბიალიზებულ თანხმოვნებს, ისინი იდენტურ შესატყვისობებსაც გვიჩვენებენ (მაგ., აფხ. აგზ : ჩერქ. გზ „გული“),

იზა ჩანტლაძე

ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის ურთიერთშემსართებისათვის კოდორულ ტოპონიმიაში

სვანურ ენაში ძალზე გავრცელებულია როგორც ლაბიალიზა-ციის, ისე დელაბიალიზაციის ურთიერთგამომრიცხველი პროცესები. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად ახასიათებს ბალსკემოური დიალექ-ტის ლახამულურ კილოკაგს (მ. ქალდანი), მაგრამ რომ იგი მეტაკ-ლებად ყველა დიალექტში იყო გავრცელებული, ამაზე მიუთითებენ ძველი სვანური ხალხური სიმღერებისა და ანდაზა-გამოცანების ენა, აგრეთვე ცალკეული იდიომატური გამოთქმები და ტოპონიმური ერ-თეულები.

1889 წლის მონაცემების მიხედვით, დალის, კვანის, გვანდრისა და ჩხალთის ხეობებს შორის ულამაზესია და უმდიდრესი პირველი მათგანი. „კვანი ქარტაზე საკენია“ (ნიუარაძე 1964:161), რაც ძალ-ზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება სა-კენ-ის ეტიმოლოგიის გარკვევისა-თვის („საკვერნე“ > *სა-კუერნ > *სა-კუერ > სა-კუნ — აუსლაუტის გამარტივება სვანურში და რ სონორის დაკარგვა ინლაუტში ჩვეუ-ლებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში). კუპან, ვფიქრობთ, უშიგუ-ლური უნდა იყოს, თუმცა ის ერთ ბალსზემოურ ანდაზაშიც აქვს და-დასტურებული მესტიელ ჩართოლანს (კუპან-ოლ ლაქმათე ამჩედელი, ტუფ ეჩე ათხედა — „კვერნა საშოგარზე წასულა, ტყავი იქ დარჩენია“ — ნიუარაძე 1964:224; შდრ. იფარული: კუპა-ნ ლაქმათესერ შმჩედ ი ტუფ ესერ ეჩ'ოთცუშირა — „კვერნა საშოვარზე წავიდა და ტყავი იქ დატოვაო“ — კორძაია 2000:90; და ლახამულუ-

რო: კენ ურინ დას ესერ ხოტმურა — „კვერნა ორჯერ არავის გაუტყავებიაო“ — დავითიანი 1973:46).

კუშან და სა-კენ ფორმათა ურთიერთშეპირისპირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დელაბიალიზაციის პროცესის ისტორიისათვის სვანურში. აშკარაა, რომ სა-კენ ტოპონიმი ბალსკვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მიერაა შექმნილი. სპეციალური ლიტერატურიდან (მ. ქალდანი) კარგა ხანია ცნობილია, რომ თანამედროვე ლახამულური კილოკავის ფონოტაჭტიკას სპეციფიკურს ხდის დელაბიალიზაცია, რითაც ის საგრძნობლად უპირისპირდება ბალსკვემოური კილოკავების (აგრეთვე სვანურის სხვა დიალექტების) მონაცემებს, მაგრამ ლახამულელებს არასოდეს უცხოვრიათ კოდორის ხეობაში (გუჯვარიანი 1939 : 274), ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო ტოპონიმი ჭუბერელ — ფარელ — ეცერელ — ცხუმარელ — ბეჩოელთა ნაღვაში უნდა იყოს.

ზოგი ჩვენი კოდორელი ინფორმატორის მეტყველებაში ძალზე იშვიათად კუშან წარმოდგენილია უუშან ვარიანტის სახითაც. იმავე ტექსტებში გვხვდება ლე-კუ-ა ტოპონიმიც, რომელიც, ვფიქრობთ, იგივე ქართული სა-კენ-ია, ოლონდ სვანური გაფორმებით. ძალზე საინტერესოა, რომ სვანურ ვარიანტში ლაბიალური ელემენტი -უ- დაცულია, რაც ამ ძირის არქაულობაზე მეტყველებს კოდორულ სვანურში.

აქა-იქ გაიგონებთ რე-კუ-ა ვარიანტსაც; ლე-რ გარკვეული პოზიციით შეპირობებული ფონეტიკური პროცესია ზანურში (გ. როგავა), თუმცა ამას ვერ ვიტყოდით სვანური ენის შესახებ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ვიდრე საკითხი სპეციალურად არ იქნება შესწავლილი, ისე კი ანალოგიური ფაქტები აქაც დასტურდება: ცილ (ზს., ლშხ.)/ცირ (ლნტ.) — 1. კანი, ქერქი; 2. ცილა; 3. ტყავი..., ცილ (ჩოლ.) — ხის კანის შიგნითა წვნიანი ლორწო, ცილა. შდრ. ქართ. ცილ-ა — კვერცხის თეთრი გული, გინა ხის ქერქის შიგნითი კანი (საბა), ცილ-ი (იმერ.) — გოგრის ან საზამთროს კანის თეთრი ნაწილი, ცილ-ა-მ-პ-ალ-ი (ქიზ.), ცილ-ა-მ-პ-ალ-ა (ფშ.) — ქერქ და ცილაშემომპალი ჭიგო ვაზისა, ერთი მხრივ, და „კანის გაცილ-ა“, ლი-ცირ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ცირ-ე (ბქ., ლნტ.), ცირ-ა (ჩოლ.) „აღლეტვა, კანის გაცლა, გაფეხვნა“; ცილ-ე (ზს., ლნტ.), ცილ-ე (ლშხ.) „აპობს, ხევს, ხლეჩს, გლეჩს, ხეთქს“. ამ ფორმებისთვის შესაძ

ლოა ამოსავალი იყოს *ცილ-ირ-ა, მაშინ ადვილად აიხსნება ძირისეული ხმოვნის სიგრძე.

ასე რომ, სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003:337) გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანური ცილ („კანი, ქერქი“) და ქართული (იმერული) ცილ-ი („გოგრის ან საზამთროს კანის თეთრი ნაწილი“) ლექსემებისთვის ამოსავალი უნდა იყოს შიშინა სიბილანტის შემცველი ვარიანტი (*ჩილ), მთლად სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც, როგორც დავინახეთ, ქართველურ ენებში ცილ-ი და ცილ-ა ისტორიულად სინონიმები ჩანს (ბოლოს და ბოლოს „ცილა“-ც ხომ „კანია, გამჭვირვალე მასაა კვერცხის გულის გარშემო“, ის ნაწილია, რომელიც ს-ცილ-დ-ება, ე-ცილ-ება კვერცხის გულს?), რომლებიც ყველა ქართველურ ენაში სწორედ სისინა სიბილანტითავა წარმოდგენილი.

ვიდრე ლე-რ თანხმოვანთგადაწევის საკითხს საგანგებოდ არ შევისწავლით სვანურში, მანამდე სრულიად ბუნებრივია, გავიზიაროთ სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003:18) გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლე-რ ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესია სვანურში, რომელიც არ არის შეპირობებული გარკვეული პოზიციით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ როგორც ცილ-/ცირ- ძირის, ისე ლე-კუ-ა რე-კუ-ა ლექსემის შემთხვევაში ლე-რ მეორეული, შედარებით გვიანდელი პროცესი ჩანს.

მანანა ჩაჩანიძე

დიფერენციული ნიშანი ლექსიკოგრაფიაში —
V. ი. კარაულოვის ლექსიკონთა პარამეტრული
ანალიზის მეთოდიკა

ლექსიკოგრაფიის თეორიასა და პრაქტიკაში დიფერენციული ნიშნის განსაზღვრის გზაზე პრინციპული მნიშვნელობისა აღმოჩნდა ლექსიკონთა პარამეტრული ანალიზის მეთოდიკა, რომლის შემომტანიც არის ცნობილი მკვლევარი ი. კარაულოვი. ლექსიკოგრაფიის ფუნდამენტური კანონზომიერებების კვლევამ, ლექსიკოლოგიისა და იდე-

ოგრაფიის ყველაზე მწვავე პრობლემების ანალიზმა (დაწყებული კარტოთეკათა შედგენით, სალექსიკონო საქმის ლექსიკოლოგიური უზრუნველყოფით და დამთავრებული ლექსიკის მანქანური დამუშავებით) მკვლევარს ბიძგი მისცა შენიშნა და შეესწავლა თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ერთი მძღვრი ტენდენცია, რასაც მან ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია უწოდა. ამ კვლევის საფუძველზე შეიქმნა კიდევ ლექსიკონთა პარამეტრული ანალიზის მეთოდიკა (ვრცლად იხ. მ. ჩახანიძე: 1) ენის ლექსიკოგრაფიული მოდელი და ლინგვისტურ მონაცემთა ბაზები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უურნალი, 1. ქუთაისი, 2005; გვ. 18-27, 2) კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა ტიპოლოგიის საკითხი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უურნალი, 7. ქუთაისი, 2006; გვ. 40-45).

ი. კარაულოვის აზრით, პარამეტრული ანალიზის პირობებში, ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის თანახმად და ლექსიკონთა ტიპოლოგიის აგების მიზნით, უმთავრესია ლექსიკონთა ტიპების განსაზღვრა ლექსიკონთა წყაროებისა და აღრესატების შესაბამისად:

წყარო ← ლექსიკონი → აღრესატი

საბოლოოდ მივიღებთ ლექსიკონთა ორ ცენტრალურ ტიპს: ა) ლინგვისტრულსა და ბ) ანთროპოცენტრულს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ი. კარაულოვს ეს საკლასიფიკაციო სისტემა აღარ გაუღრმავებია და უფრო გამოკვეთილი სახით არ მოუცია ლექსიკონთა კლასიფიკაცია, მის მიერ შემოტანილმა და დამკვიდრებულმა ლექსიკოგრაფიული პარამეტრის ცნებამ და ლექსიკონთა პარამეტრული ანალიზის მეთოდიკაშ საეტაპო როლი შეასრულა მომდევნო პერიოდის თეორიული ლექსიკოგრაფიის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, ახალ ტიპოლოგიათა აგებაში და რაც ყველაზე ღირებულია, ენობრივ მონაცემთა დამუშავების თანამედროვე ეტაპზე ლექსიკონთა პარამეტრული ანალიზის მეთოდიკა მეტად ქმედითი აღმოჩნდა კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისითაც.

ა ლ ე ჭ ს ი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირებს მეტსახელები „ტარია“ და „ნესტანჯარ“ ინტერპოლატორმა დაარქვა

1. „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელი ტარია-დ შეცვლილია 10 (ათ) სტროფში, ნესტან-დარეჯანი ნესტანჯარ-ად 2 (ორ) სტროფში.
 2. მოხსენებაში დასაბუთებელია ამ სტროფების ჩანართობა.
 3. ჩანართია პოემის ის მონაკვეთი, სადაც ვითომ ტარიელი და ავთანდილი დაობენ, ქაჯეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ არაბეთში უნდა მივიღნენ თუ ინდოეთში?
 4. ამ მონაკვეთში 22 (ოცდაორი) ასეთი სტროფი აღირიცხება. ამრიგად, ტარიაიან და ნესტანჯარიან სტროფებთან ერთად, პოემის ძირითად ტექსტს უნდა მოსცილდეს 34 (ოცდათოოთხმეტი) სტროფი.
- ტარიელს პოემაში მისი ახლობლები, პოემის მთავარი გმირები ვითომ მოფერებით სახელს „ტარია“-ს არ ეძახიან, ე. ი. ეს თიკუნი ინტერპოლატორთა მოგონილია და მხოლოდ ისინი იყენებენ.

პროექტი „მთის კავკასიური ენები საქართველოში“. II

პროექტი ხორციელდება ქართველოლოგის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული №026-08 გრანტის მეშვეობით.

ვაჟა შენგელია

საგრანტო პროექტზე მუშაობის მეორე წლის (V-VIII კვარტალები) შედეგების შესახებ

საანგარიშო წელს გათვალისწინებული იყო ექვსივე საკვლევი ენობრივი ერთეულის (ბათუმელ აფხაზთა მეტყველება, ჩეჩენი ენის ქისტური დიალექტი, წოვა-თუშური ენა, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, ბეჭიტური ენა, უდიური ენა) მორფოლოგის საკითხების კვლევა უკვე არსებული და ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე.

მეხუთე კვარტალში გათვალისწინებული იყო სახელთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება.

ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაზე მუშაობას განაგრძობდა **ნანა გაგარინიანი**, კერძოდ, მეხუთე კვარტალში დამუშავდა არსებითი სახელის მორფოლოგის საკითხები. როგორც ცნობილია, აფხაზურს ძირითადი ბრუნვები არ გააჩნია, ხოლო მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები ჩამოყალიბების სტადიაშია. სამაგიეროდ, არსებით სახელს მოეპოვება კუთვნილების სპეციფიკური კატეგორია, რომელიც ასრულებს კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლს და გამოიხატება პირისა და კლასის მიხედვით ცვალებადი პრეფიქსებით. ყურადღება გამახვილდა ამ კატეგორიის ფუნქციონირებაზე საკვლევ ენობრივ ერთეულში.

როსტომ ფარეულიძე წარმოადგინა არსებითი სახელის ანა-

ლიზი ჩეჩენური ენის ქისტური დიალექტის მონაცემთა საფუძველზე. განხილულია გრამატიკული კლასის საკითხი, ბრუნვებისა (ბრუნვათა სისტემა, ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები) და მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებანი. ყველა საკითხი განხილულია ჩეჩენი სალიტერატურო ენასთან შედარება-შეპირისპირებით.

ლატავრა სანიკოძე განიხილა წოვა-თუშური (ბაცბური) ენის არსებითი სახელის ბრუნვებისა და მრავლობითი რიცხვის წარმოების საკითხები, ბრუნვის ტიპები, გრამატიკული კლასის ფუნქციონირების თავისებურებანი.

მოპოვებული დიალექტური მასალისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე **ლევან აზმაიფარაშვილმა** დამუშავა ყვარლის რაიონის სოფელ თივში წარმოდგენილი ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის გრამატიკული კლასისა და რიცხვის, ბრუნვის პროცესის, ძირითად და ადგილობით ბრუნვათა ფუნქციონირების საკითხები სალიტერატურო ენის მონაცემებთან შედარებით, აგრეთვე, ზედსართავი და რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელის თავისებურებანი.

ოდდარ არდოტელის ანალიზის საგანი იყო გრამატიკული კლასის ფუნქციონირების, ბრუნვათა შედეგისა და ბრუნვების პროცესის, მრავლობითი რიცხვის წარმოების საკითხები ბეჭიტურ ენაში.

რომან ლოლუაშვილი გაანალიზა უდიური ენის არსებითი სახელის სტრუქტურისა და სიტყვაწარმოების, ბრუნვებისა და მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებანი.

მეექვსე კვარტალში ჩატარდა უდეტრების ანუ ე. წ. დამხმარე მეტყველების ნაწილების (ზმნისართი, თანდებული, ნაწილაკი...) სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ექვსივე საკვლევი ენობრივი ერთეულის მონაცემთა გათვალისწინებით.

მეშვიდე კვარტალი დაეთმო ზმნური კატეგორიების ანალიზსა (გრამატიკული კლასი, პირი, კაუზატივი, პოტენციალისი...) და პრევერბთა ფუნქციონირების საკითხთა ანალიზს.

ყოველი კვარტალის ბოლოს პროექტის მონაწილეებმა წარმო-

ადგინეს სათანადო სამუშაოები და მუშაობის ინდივიდუალური ანგარიშები, რომელთა საფუძველზე შედგა კვარტალური გაერთიანებული ანგარიშები. შესრულებული სამუშაოების, გაერთიანებული ანგარიშების ელექტრონული ვერსია და კომპაქტ-დისკზე შეტანილი ენობრივი მასალა, აგრეთვე, სხვა საჭირო დოკუმენტაცია გათვალისწინებულ ვადაში წარედგინა რუსთაველის ფონდს.

მეშვიდე კვარტალში ჩატარდა სამეცნიერო ექსპედიციები ადგილზე მასალის მოსაპოვებლად (ნ. მაჭავარიანი — ბათუმი, რ. ფარეულიძე — ბანკისის ხეობა, ლ. სანიკიძე — ახმეტის რაიონის სოფელი ზემო ალვანი, ლ. აზმაიფარაშვილი — ყვარლის რაიონის სოფელი თივი, ნ. არდოტელი — იმავე რაიონის სოფლები სარუსო და ჩანტლისყურე, რ. ლოლუა — სოფელი ოქტომბერი), მასალა ჩაწერილია როგორც ხელით, ისე დიქტოფონზე და ვიდეოკამერით.

მერვე კვარტალში ივარაუდება დასრულდეს ზმნის მორფოლოგიის საკითხების განხილვა, კერძოდ, წარმოდგენილი იქნება დროკილოთა ანალიზი წარმოებისა და სემანტიკის თვალსაზრისით.

ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე საგრანტო პროექტის მონაწილენი წარმოადგენენ პროექტის თემასთან დაკავშირებულ მოხსენებებს.

ნანა მაჭავარიანი

ბათუმელ აფხაზთა მეტყველების შესახებ. II

ცოცხალ დიალექტთა და თქმათა მონაცემები საიმედო წყაროა ენის ისტორიული განვითარების სურათის აღსაღენად. ახალდამწერლობიანი აფხაზური ენის ისტორია უნდა აღდგეს დიალექტოლოგიისა და მონათესავე ენების მონაცემთა გათვალისწინებით, ამიტომ ნაკლებად შესწავლილი თქმების (კილოების) გამოკვლევა არის აფხაზუ-

რი ენის განვითარების გზის უკეთ შესწავლის აქტუალური ამოცანა.

იმ ბათუმელ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ას წელზე მეტია მოწყვეტილი არიან აფხაზურ დიალექტთა გაგრცელების ძირითად ტერიტორიას, იძლევა ძვირფას მასალას აფხაზური ენის ისტორიის გასათვალისწინებლად.

ენობრივი მონაცემები სწრაფად ექვემდებარება ცვლილებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის ენა განსხვავებულ ენობრივ სამყაროშია მოქცეული.

2009 წლის პირველი კვარტალში წარმოდგენილი იქნა აფხაზური ენის არსებითი სახელის მორფოლოგიის ანალიზი; მეორე კვარტალში დამუშავდა ზმნისართის, თანდებულის, ნაწილაკისა და შორისდებულის სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები; მესამე კვარტალი დაეთმო ზმნის წარმოქმნის კატეგორიების ანალიზს. მუშაობა ჩატარდა არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისა და, აგრეთვე, ჩვენ მიერ ახლად მოპოვებული საველე ენობრივი მასალის საფუძველზე. ყურადღება გამახვილდა ბათუმელ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ არაერთ თავისებურებაზე.

პროექტის ფარგლებში 2009 წლის მესამე კვარტალში, სამეცნიერო გრანტით გათვალისწინებული სამუშაოს ფარგლებში 7. 06. 09. — 24. 07. 09 მივლინებით ვიმყოფებოდი ქ. ბათუმში, სადაც ვაკვირდებოდი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას.

ჩემი ინფორმატორები იყვნენ: აგირბა ნაირა (50 წლის), ჩამბა ფერიდე (88 წლის), აშანბა ნაზი (70 წლის), მუსხაჯბა სური (71 წლის), აბდიბა ლიუდა (55 წლის), აბდიბა ვენერა (56 წლის), ავეჩბა ციალა (70 წლის).

მათგან ჩავიწერე აფხაზური მეტყველების ნიმუშები: ზღაპრები, ფრაზები, ანდაზები (აუდიო და ვიდეომასალა, რომელსაც წარმოვადგენ სამეცნიერო კონფერენციაზე).

მიუამად მოპოვებულ მასალას ვამუშავებ.

როსტომ ფარეულიძე

ქართულიდან ნასესხები დროის აღმნიშვნელი ლექსიგა ქისტურში

1. დროის აღნიშვნასთან დაკავშირებული ლექსიკა ნახურ ენებ-სა და დიალექტებში შესწავლილი აქვს ი. ალიროვს. მიუხედავად ამისა, ქისტურში დასტურდება ისეთი ლექსებიც, რომლებიც ი. ალიროვის ნაშრომებში არ გვხვდება. ნათქვამი ეხება ძირითადად ქართულიდან ნასესხებ ლექსიკას.

2. როგორც ჩეჩენურ სალიტ. ენასა და დიალექტებში, მათ შორის ქისტურშიც, გამოიყოფა ქართულიდან ნასესხები კვირის დღეთა აღმნიშვნელი სახელები, როგორიცაა:

ჩეჩენური	ქისტური
უორშუოთ	უორჩუოთ უარჩუათ
პერასკა	პერესკ პერესკ
შუოთ	შოათ შუოთ
კირა	კირაჲ კირ
კირან დღე	კირან დღე კირაჲან დღე
	„ორშაბათი“ „პარასკევი“ „შაბათი“ „კვირა“ „კვირა დღე“

აღნიშნული ფაქტი შენიშნული აქვს ჭერ კიდევ ს. ჯანაშიას. ჩამოთვლილი სიტყვები ჩეჩენურში ძველ ნასესხობებს წარმოადგენენ.

3. ჩეჩენურში თვეთა სახელებად გამოყენებულია რუსულიდან ნასესხები სახელები. მაგალითად:

январ // იანვარ-ბუთ „იანვარი || იანვრის თვე“ და ა. შ.

ქისტურში თვეთა სახელები, ქისტურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ვარიანტების სახით, ქართულიდან არის ნასესხები:

იენტორ || იენტორ ბუთთ „იანვარი || იანვრის თვე“

მაის || მაის ბუთთ „მაისი || მაისის თვე“

სექტემბერ || სექტემბერ ბუთთ „სექტემბერი || სექტემბრის თვე“...

გარდა ამისა, ხანდაზმულთა მეტყველებაში დასტურდება თვეთა აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელებიც, როგორიცაა (იგნისი-დან დექემბრის ჩათვლით):

თიბათ || თიბათ ბუთთ „თიბათვე || თიბათვის თვე“
კათათ || კათათ ბუთთ „მკათათვე || მკათათვის თვე“...
შშრდებ ბუთთ „მარიამობის თვე“...
ქრიშობ || ქრიშობ ბუთთ „ქრისტეშობის თვე“

4. ქისტურში ქართულიდან ნასესხებია, აგრეთვე:
საათ „საათი“ (შდრ. ჩეჩენური სა ჰათ)
წუთ „წუთი“ (შდრ. ჩეჩენური მინუთ < რუსულიდან)
წამ „წამი“ (შდრ. ჩეჩენური სექუნდა < რუსულიდან)...

5. ქისტურში ქართულის კალკებს წარმოადგენენ:
მერთხა (მართ „საუზმე“+ხა) „სადილობის დრო“
ფჟარულერხა (ფჟარორ || ფჟარარ „ვახშამი“+ხა) „ვახშმობის დრო“
შდრ. ჩეჩენური:
მართა და’ „საუზმის ჭამა“ (საუზმობა)
დელყანა ჰუმა და’ „შუადლეს რამის ჭამა“ (სადილობა)
ფჟარორ და’ „ვახშმის ჭამა“ (ვახშმობა)
ნაშრომში არის მსეულობა იმ ფონეტიკურ მოვლენებზე, რომლებიც თავს იჩენენ ლექსიკის ამ ნაწილის ქართულიდან ქისტურში სესხების დროს.

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

ინტერფერენციის ერთი შემთხვევა წოვა-თუშურ ენაში

წოვა-თუშურ-ქართული ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობის შედეგად წოვა-თუშურში თავს იჩენს ინტერფერენტული ფაქტები.

როგორც ცნობილია, ენის მორფოლოგია ნაკლებად განიცდის ინტერფერენტულ ცვლილებებს. სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ინტერფერენციის მაგალითები წოვა-თუშური ენის მორფოლიშვილი, კ. ჭრელაშვილი, მ. მიქე-

ლაპა...). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს წოგა-თუშურ ენაში **ვითარების ზემისართი** და **ვითარებითი ზედსართავი** სახელი.

ჩანსურ ენასა და ინგუშურში ვითარებითი ზედსართავი სახელის სახელობით (წრფელობით) ბრუნვასა და ვითარების ზმნისართს სა დ ე რ თ ო ფ რ რ მ ა ა ქ ვ ა:

ჩაჩნ.-ინგუშ. ათაა „იოლი, იოლად“, ღიქა „კარგი, კარგად“; დადნ „მსუბუქი, მსუბუქად“; მასა, ჩეხეა „სწრაფი, სწრაფად“; ლოხა „დაბალი, დაბლა“; წენა „სუფთა, სუფთად“; ჩაჩნ. თიმნა, ინგ. საბარ „ჩუმი, ჩუმად“; ჩაჩნ. ხაზა, ინგ. ხოზა „ლამაზი, ლამაზად“; ჩაჩნ. ვონ, ინგ. ვო „კული, კულად“...

ვითარებით ზედსართავსა და ვითარების ზმნისართს შორის ფუნქციური განსხვავება დაჩნდება წინადაღება - შინაგადება - შინაგადებით, ერთი და იგივე ფორმა ზედსართავი სახელის ფუნქციით, ჩვეულებრივ, სახელთან ქმნის სინტაგმას, ზმნისართის მნიშვნელობით - ზმნასთან (მეტწილად), ზედსართავ სახელთან, ზმნისართთან. მაგ., ჩაჩნ. ათა 1. (არსებით სახელთან) „იოლი“: ათა (ზედსართავი სახელი) „იოლი“ ზადაჩა (არსებითი სახელი), „ამოცანა“ - „იოლი ამოცანა“; ათა 2. (ზმნასთან) „იოლად“: ი ზადაჩა ათა (ზმნისართი) „იოლად“ დალო (ზმნა) „ამოიხსნება“ - „ეს ამოცანა იოლად ამოიხსნება“.

ინგ. დ ი უ ა 1. (არსებით სახელთან) „ნელი“: დიუა (ზედსარ-თავი სახელი) „ნელი“ ხიდ (არსებითი სახელი) „მდინარე“ — „ნელი მდინარე“; დ ი უ ა 2. (ზმნასთან) „ნელა“: დიუა (ზმნისართი) „ნელა“ ლოალა (ზმნა) მიედინება ხიდ — „ნელა მიედინება მდინარე“.

წოვა-თუშურში, ჩ ა ჩ ნ უ რ - ი ნ გ უ შ უ რ ი ს ა გ ა ნ გ ა ნ -
ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, **ზმნისართი ზედსართავი სახელისაგან ფორმითაც**
განსხვავდება: ატაბ⁶ „ადგილი“ — ატაბშ (**< ატაბიშ**) „ადგილად“;
ღაზე⁶ „კარგი“ — ღაზიშ (**< ღაზეიშ**) „კარგად“; მაწრინ⁶ „ტკბილი“ —
მაწრინ „ტკბილად“; ღავი⁶ „მსუბუქი“ — ღავიშ „მსუბუქად“; ჭალო⁶
„მაგარი“ — ჭალოშ „მაგრად“; ღახუ⁶ „ღაბალი“ — ღახუშ „ღაბლა“;
შორინ⁶ „განიერი“ — შორინ „განიერად“; ღაჭო⁶ „ღიღი“ — ღაჭოშ „ღიღეშ
„ღიღიარ“...

ვითარების ზმნისართს - **თბილისი** სუფიქსი აწარმოებს ვითარებითი ზედასართვი სახელისაგან: მაგ., ზედს. სახ. „დილი“ — დაკან⁶

(< დაწონებ>) + ოშ > ზმნისართს — „დიდაღ“ — დაწულებ (< დაწოვებ < დაწოიტ>)...

ვითარებითი ზედსართავი სახელისა და
ვითარების ზმნისართის **დიფერენციაცია წოვა-თუშურ-ში**
ზი ქართულთან ინტერესუნგიის შედეგი უნდა
იყოს. აქ (წოვა-თუშურში) ქართულის მსგავსი ვითარება გვაქვს —
ვითარების ზმნისართი იწარმოება ვითარებითი ზედსართავისაგან,
თუმცა მაწარმოებლები წოვა-თუშურსა და ქართულში განსხვავებულია: წოვა-თუშურში ვითარების ზმნისართის სუფიქსი -**იშ**, რომელიც იგივეა, რაც საერთო-ნახური აწმყო-მყოფადის აბსოლუტივის (გერუნდივის) აფიქსი -**შ** (ა. შიფნერი...), ქართულისათვის უცხოა. ამ რიგის ინტერესუნგი ცვლილება, — სტრუქტურული და არა — მატერიალური, — მორფოლოგიის დონეზე კანონზომიერია.

၃၅၁၆ အနိမ်ဝေဖွားလာမျှ၏

რ- თავსართიანი ზმნები სუნდურში

ხუნძური ენის მორფოლოგიაში, აღწერითი და ისტორიული თვალსაზრისითაც, ერთ-ერთ საინტერესო ელემენტად წარმოგვიდგება პრეფიქსი **ბ-**. ორგორც ცნობილია, ისტორიულად იგი წარმოადგენდა ხუნძურ ენაში აწ უკვე გამჭრალი IV გრამატიკული კლასის ნიშანს, თუმცა ფუნქციაშეცვლილი სახით ეს **ბ-** პრეფიქსი კვლავაც განაგრძობას არსებობას როგორც კლასნიშნიანი ზმნების მრავლობითი რიცხვის ნიშანი და აგრეთვე გვევლინება კლასნიშნიან ზმნათაგან არსებით სახელთა მაწარმოებლად.

ხუნძურ ენაში გვხდება ისეთი ზმნები, რომლებსაც ანლაუტში ამჟამად ოდენ ხ- თავსართი მოუდით, თუმცა უწინ მის ნაცვლად კლასისა და რიცხვის ცვალებადი ნიშნები უნდა ჰქონოდათ. ასეთი ზმნებია, მაგალითად:

፩-ეტინኑ „ክልጻም“ (ሚሮኑ. **፩-ეტීዬ „ጥაኖስაሙስ“):**

უნაგო ნუხდა ჰასადა ცო ლაიკ რეტელ-ხით რეტარავ ჩი დანდჭვანილა „მოდიოდა რა გზაზე, ამას ერთი კარგად ტანისამოს-ფეხსაცელ ჩაცმული კაცი შეხვედრია“ (ხუნდ. ზღაპრები, 1990, 59)...

მიმღეობის ფორმა აქ წესით III კლასის ბ- ნიშნიანი უნდა ყოფილიყო: *ბ-ეტარავ;

რ-ეშტინე „ჩამოსვლა“, „ჩამოქვეითება“; რ-ეკინე „ამხედრება“:

უაბრაშელ მალამიქ რეშტუნ ვუგო ზოდისაა „ჯაბრაილ ან-გელოზი ჩამოვიდა ზეციდან“ (უსლარი, 1889, განკ. II, 174);

ვას რეშტანილა, ემენ ჰამიდა რეკანილა „ვაჟიშვილი ჩამოქვეითებულა, მამა ვირზე ამხედრებულა“ (ხუნდ. ზღაპრები, 1990, 59)...

მოსალოდნელი იყო ბ- კლასის ნიშნიანი (I კლ.) ფორმები: *ვ-ეშტუნ, *ვ-ეშტანილა, *ვ-ეკანილა;

რ-იხინე „შეძულება“:

ალუანალდა უანიდ უაუჟარ შადინად, სუნდალუნ ვოტულევ დუდა რიხარავ? „სამოთხის მარგალიტის მსგავსი [ქალი], რის გამო ვარ საყვარელო [ვაულ] შენგან შეძულებული?“ (უსლარი, 1889, განკ. II, 15)...

აქ მიმღეობის ფორმა II კლასის ე- ნიშნიანი უნდა ყოფილიყო: *ე-იხარავ;

რ-ელაინე „მსგავსება“:

შორწენ ჰამიდა რელარაბ ჰარვან ბუგო „ჯორი ვირის მსგავსი ცხოველი არის“ (ჩიქობავა, ცერცვაქ, 1962)...

მიმღეობის ამ ფორმაში ბუნებრივი იქნებოდა III კლასის ბ- ნიშანი: *ბ-ელარაბ;

რ-ეხაიზე „გადაგდება“:

ბაკაბ რახი ბახუნ ჰალგი შუნ, ყინლიზე მიკარად ჰალალიმერ რეხუნ ბუგო „მძიმე ტვირთის ტარებით ძალა დაადგარა, სამშობიაროდ მყოფს მას [ქალს] ბავშვი გაუვარდა“ (ზღაპრები, 1990, 71)...

ნამყოს აბსოლუტივის ფორმა აქ უნდა ყოფილიყო ბ- (III კლ.) ნიშნიანი: *ბ-ეხუნ;

რ-ეჭაიზე „სროლა“, „დაცემა“, „დატაკება“:

ჰესადა ტად რეჭუნ ნუქარ ხუნ ვუგო, მისქინავ ვას ჭაგო

ხუტუნ ვუგო „მას ზედ დაეცა-რა, ნუქერი მოკვდა, საწყალი ბიჭი ცოცხალი დარჩა (ხუნდ. ზღაპრები, 1990, 72)...

აქ კი ნამყოს აბსოლუტივის ფორმა I კლასის ბ- ნიშნით უნდა გვქონოდა: *ვ-ეჭუნ...

ამდაგვარი ზმნები სხვაც დაიძებნება. განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს ეს რ- თავსართიანი ფორმები ჩრდილოური ხუნძურისათვის, ხოლო სამხრულ დიალექტებში მოიპოვება ზმნები, რომელთაც, სალიტერატურო ხუნძურისაგან განსხვავებით, კლასის ნიშნები შენარჩუნებული აქვთ.

ანწუხურ დიალექტში, მაგალითად, სალიტერატურო ზმნას რ-აპიზე („გაღება“, მაგ., ნუწა რაპანა „კარი გაიღო“) ეფარდება ბ-აპზი, მაგ., ნუწა ბაპზი „კარის გაღება“, მრ. რ. ნუწილ რაპზი „კარების გაღება“... თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პარალელურად შეიძლება რ- თავსართიანი ფორმაც გვხვდებოდეს მხოლოდით რიცხვში, მაგალითად, სოფ. თივის (კახეთი, ყვარლის რ-ნი) ანწუხელთა მეტყველებაში: ბაბად ნუწა რაპანაბგუ თიმალ დანდი რექერუ შევა „დედამ კარი გააღო თუ არა, ბავშვები მისკენ გამოიქცნენ“... თვითონ სალიტერატურო ხუნძურშიც (resp. ჩრდილოურ ხუნძურში) ამჟამად მოიპოვება კლასინიშნიანი ფორმები რ-აპიზე („გაღება“) ზმნისა, ოლონდ საინტერესოა, რომ ამ ფორმებს რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, მაგ., ვ-აპიზე (I კლ.), ე-აპიზე (II კლ.) „ყურადღების მიპყრობა“. იგივე ზმნა ბ- კლასის ნიშნით (ბ-აპიზე) აღნიშნავს „ცხადყოფას“, „ალმოქენას“. მისი სხვა მნიშვნელობებია: „გარღვევა“, „გახვრეტა“, „გახევა“, „გაცვეთა“. საერთოდ რომ ითქვას, ხუნძური ლექსიკა მეტად საინტერესოა პოლისემიისა თუ სხვა სემანტიკურ მოვლენათა თვალსაზრისით როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში. დღეისათვის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ მხრივ შეუსწავლელია.

სალიტერატურო ხუნძურსა და დიალექტთა მეტ ნაწილში ამჟამად ოდენ რ- თავსართიანია ზმნა რ-ახაზე „დახურვა“, „დაკეტვა“; მაგ., ნუწა რახაზე „კარის დახურვა“. ბ- კლასის ნიშნიანი შესატყვისი ფორმა ამ ზმნისა ანწუხურშია დადასტურებული: ბ-აპაზი (ფ. საიდოვა, ხუნდ. დიალ. ლექს., 2008). სოფ. თივის ანწუხურ მეტყველებაში მოიპოვება აგრეთვე კლასინიშნიანი შესატყვისი ფორმები სალი-

ტერატურო ხუნძურის რ- თავსართიანი ზმნისა რ-იხინე „შეძულება“; აქ ითქმის: გ-იპზი (I კლ.), მ-იპზი (II კლ.)...

ასევე, ლიტ. რ-ეშტინე „ჩიმოსვლა“, შდრ. ანდალალური გ-ეშტდე (I კლ.), მ-ეშტდე (II კლ.), ბ-ეშტდე (III კლ.), რ-ეშტდე (მრ. რ.); ლიტ. რ-ეხაზე „გადაგდება“, შდრ. ანწუხ. გ-ეხაზი (I კლ.), მ-ეხაზი (II კლ.), ბ-ეხა-ზი (III კლ.), რ-ეხაზი (მრ.რ.) და სხვ. ზოგიერთ ზმნას რ- უკვე საბოლოოდ დამკვიდრებია როგორც სალიტერატურო ენაში (ჩრდილოურ ხუნძურში), ისე დიალექტებშიც, მაგ., რ-ეტინე „ჩაცმა“, რ-ეკინე „ამხედრება“, რ-ეჭაზე „სროლა“, რ-უკაინე „დაბნელება“, რ-ოპინე „გათენება“... (მიქაილოვი, 1964).

რას უნდა გამოეწვია რ- თავსართის გაბატონება და მის მიერ კლასის ნიშანთა ნიველირება? აქ უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, იმ ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვის შესახებ, რაც რ-პრეფიქსს ხუნძურ ენაში მოეპოვება საერთოდ, კერძოდ, მისი მეშვეობით სიტყვას განყენებული მნიშვნელობა ეძლევა ხოლმე; ეს თვალივა ჩანს, მაგალითად, კლასნიშნიან ზმნათაგან წარმოებულ აბსტრაქტულ არსებით სახელებში, რომლებიც, როგორც წესი, ანლაუტში რ-პრეფიქსს დაირთავნ ხოლმე: რ-ოტაი „სიყვარული“ (შდრ. ამოსავალი ზმნა I კლ. გ-ოტაიზე, II კლ. მ-ოტაიზე, III კლ. ბ-ოტაიზე „ყვარება“), რ-ოხაი „სიხარული“ (შდრ. I კლ. გ-ოხაიზე, II კლ. მ-ოხაიზე, III კლ. ბ-ოხაიზე „გახარება“), რ-აყი „შიმშილი“ (შდრ. I კლ. გ-აყიზე, II კლ. მ-აყიზე, III კლ. ბ-აყიზე „მოშიება“) და სხვა. საფიქრებელია, რომ კლასნიშნიან ზმნებში აფიქსური მრავალფეროვნების მოშლა უნდა ასახვდეს ამდაგვარ ტერდენციას, სახელდობრ, ენის მისწრაფებას სიტყვის მნიშვნელობათა უფრო განზოგადებისაკენ. ეს ტერდენცია ხუნძური ენისათვის საერთოდ დამახასიათებელი ჩანს, რასაც სხვა ფაქტებიც გვიმოწმებენ.

ასე, მაგალითად, ანალოგიური მოვლენა რ აფიქსის მიერ კლასის ნიშანთა ნიველირებისა შესამჩნევია ნაცვალსახელებშიც: დი-რ „ჩემი“, დუ-რ „შენი“, ნეუე-რ „ჩვენი“ (ექსკლ.), ნელე-რ „ჩვენი“ (ინკლ.), ნოჟო-რ „თქვენი“. აქაც რ განზოგადებულადაა გამოყენებული. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინათ უნდა გვქონოდა დი-გ, დი-მ, დი-ბ, დი-რ, როგორც ამჟამად ითქმის ანდიურ ენაში (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962).

ასეთივე ვითარება შეინიშნება ცალკეულ ზმნისართებში. მაგალითად:

ცე-რ-ეყად „გუშინწინ“.

ამ ზმნისართისათვის ამოსავალია კლასნიშნიანი ფორმა: ცე-გ-ე (I კლ.), ცე-მ-ე (II კლ.), ცე-ბ-ე (III კლ.), ცე-რ-ე (მრ.) „წინ“; აქ წარმოდგენილი უად ელემენტიც ზმნისართია და მისი მნიშვნელობაა „დღისით“; შდრ. ყო „დღე“.

სავარაუდოდ, რ- თავსართის შემცველი უნდა იყოს აგრეთვე ზმნისართი რ-იყად „შორს“.

საინტერესოა, რომ რ- აფიქსი მოეპოვება თავკიდურში ზმნისართისაგან წარმოებულ ერთ სიტყვასაც: რ-აყდალ-ლ-ი „ხმელეთი“. იგი -ლ-ი სუფიქსის მეშვეობითაა წარმოქმნილი ამჟამად აღარ არსებული ზმნისართისაგან *ბაყ-დალ, რომლის მნიშვნელობაც იყო „მზეზე“; შდრ. ბაყ „მზე“. აქ -დალ წარმოადგენს ზმნისართთა მაწარმოებელ სუფიქსს, მაგ., იხა-დალ „გაზაფხულზე“, შდრ. იხა „გაზაფხული“. თვითონ სიტყვა რ-აყდალ ხუნძურ ენაში დღეს იხმარება ვითარებით ზმნისართად და „გვალვიანობის“ მნიშვნელობით ითქმის, მაგ., ისანა ჰანიბ რაყდალ ბუკანა „წლეულს აქ გვალვა იყო“. მისგანაა მიღებული ზედსართავი სახელიც: რ-აყდალ-აბ „გვალვიანი“, მაგ., რაყდალაბ რიცი „გვალვიანი ზაფხული“ (საიდოვი, ხუნდ.-რუს. ლექს., 1967).

წარმოდგენილ მაგალითებში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ III კლასის ბ- ნიშანს შენაცვლებულია რ-: ბ-აყ-დალ > რ-აყ-დალ. სხვათა შორის, ამის მსგავსი მოვლენა გვაქვს ზმნაში ბ-აყვაზე, მასდ. ბ-აყვად „გახმობა“, „გაშრობა“, რომელიც ასევე შედგენილია „მზის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან ბ-აყ < *ბ-ა-ყო, შდრ. ყო „დღე“ (ჩიქობავა, 1942). მრავლობითი ფორმა ამ ზმნისა არის რ-აყვაზე, მასდ. რ-აყვად „გახმობა, გაშრობა მრავლისა“. უფრო მეტიც, იგი I და II კლასის ნიშნებსაც კი დაირთავს, თუ ადამიანის გაშრობას შეეხება საუბარი: ინფ. გ-აყვაზე, მასდ. გ-აყვად (I კლ.); ინფ. მ-აყვაზე, მასდ. მ-აყვად (II კლ.). ცხადია, ასე ხდება იმიტომ, რომ სიტყვის შემადგენელი ბ-აყ ფულე მნიშვნელობით აღარ უდრის „მზეს“, ანუ საქმე გვაქვს ფუძის დესემანტიზაციასთან. იგივე რამ შეიძლება ითქვას რ-აყდალ-ლ-ი და რ-აყდალ ლექსემათა შესახებაც, რომელთა წარმომავლობა „მზის“ აღმნიშვნელი ბ-აყ ფუძისაგან ეჭვს არ იშვევს.

სახელური კომპოზიტების წარმოება ბეჭიტურ ენაში

1. ბეჭიტური ენა სარელაციო ფორმების სიმდიდრის პირობებში, სხვა მონათესავე ენათა ანალოგიურად, სიტყვაწარმოებითი საშუალებებით ღარიბია. მიუხედავად ამისა, დასტურდება სხვადასხვაგვარად ნაწარმოები სახელური კომპოზიტები. ძირითადად უნდა გაიჩინოს: а) ორკომპონენტიანი შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa), б) განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa), გ) კუთვნილებითი კომპოზიტები (composita possessiva), დ) ზმინისართიანი კომპოზიტები (composita adverbialia) და ე) შორისდებულიანი კომპოზიტები (composita interjectio) [ჩიქობავა 2008: 160-163; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167-170; ფოჩხუა 1974: 101-103; ვან დენ ბერგი 1995: 54-56...].

2. შეერთებითი კომპოზიტები იწარმოება ორი სხვადასხვა სახელის მექანიკური შეერთებით (resp. გაორკეცებით) კავშირის ან მაერთებელი ხმოვნის გარეშე. კომპოზიტთა დიდი ნაწილი ორი სრულფოლებიანი სახელის შეერთებით მიიღება, მაგ.: საკ. ბეჭ. ჰალ-მიც „ზნე“, „ხასიათი“, „ქცევა“ (ზედმიწ. „საქმე+ენა“), ჰონ-ს-ყონა „რამდენიმე“ (ზედმიწ. „ერთი-ორი“), გედუ-გუდო „შინაური ფრინველი“ (ზედმიწ. „კატა+ქათამი“), ჰორქი-ჩაკ „საზღვარი“ (ზედმიწ. „საზღვარი+მხარე“), მაკო-შებო „გულ+ღვიძლი“, ქეჭ-მაყო „მხიარულება“ (ზედმიწ. „სიმღერა+ცრემლი“)...; ჰუნ. ბახ-ნახუ „თივა-ჩალა“ (ზედმიწ. „თივა+ბზე“), ბეტერპან-აჟე „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარ+ცოლი), იღუ-აღაბუ „დედ-მამა“ (შდრ. საკ. ბეჭ. აბო-იმო „მამა+დედა“), მაყუ-ყორ „პატარა დათვის თანაგარსკვლავედი“ (ზედმიწ. „ცრემლი+ხაფანგი“), წულუ-წანა¹ „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“) და ა. შ.

3. კუთვნილებითი (თვისებითი) კომპოზიტები (composita possessiva) რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობას გვჩენებენ და ატრიბუტული სემანტიკა აქვთ, მაგ.: ლინლ ის (< ლინა+ლ ი-ს) „ხუთწლია-

ნი“ (ზედმიწ. „ხუთი+წლის“), დაკო-ბაწადაბ „გულწრფელი“ (ზედმიწ. „გული+წმინდა, სუფთა“)...

4. განსაზღვრებით კომპოზიტებში (composita determinativa) შემადგენელ კომპონენტებად გამოიყოფა: а) **არსებითი სახელი მსაზღვრელად:** საკ. ბეჭ. აბო-იმო || აბო-ს იმო „ბებია“ (ზედმიწ. „მამის დედა“), ჰუდი-ს ქიდ¹ „შვილიშვილი“ (ზედმიწ. „ვაჟის+გოგო“)...; ჰუნ. გსდი-ს აჟე „ძმისწული“ (ზედმიწ. „ძმის+ვაჟი“), უსდის-უსდო „დღე“ (ზედმიწ. „დღის+დღე“) და მრ. სხვ.; ბ) **ზედსართავი მსაზღვრელად:** მესედლ-ერუ-ქიდ „მზეთუნაზავი“ (ზედმიწ. „ოქროსფერი+გოგო“), ღაშაბა-ბუტოროვ „მოჩხუბარი“ (ზედმიწ. „ჩხუბ+მკეთებელი“), კოლ ლ ოწუდდო „მუქ-წითელი“... ზოგჯერ მეორე კომპონენტადაც ზედსართავი სახელია, რაც ფაქტობრივ კომპოზიციის ქვესახეობას — რედუქტიკაციას (გაორკეცებას) ეთანაბრება [შანიძე 1980: 148-149]: კოტ-კოტტუ „ძალიან კარგი“ (ზედმიწ. „კარგ-კარგი“), ბგყ-ბგყუ „დიდრონი“ (ზედმიწ. „დიდ-დიდი“) და ა. შ.

5. ზმინისართიანი კომპოზიტების (composita adverbialia) წარმოებისას ზმინისართი შეიძლება წინ უძღვდეს ან მოსდევდეს ძირითად კომპონენტს: а) წინ უძღვის: ჰუნ. არტო-ზამან „წინათ“ (ზედმიწ. „წინა+დრო“), ღურღა-ლარმო „იორღა“ (ზედმიწ. „იორღა ცხენი“)...; ბ) მოსდევს: საკ. ბეჭ. ყავასადაკ (< ყავ+სადაკ) „მეგობარი“ (ზედმიწ. „ბინა+ტერთად“)...

6. პირობითად შეიძლება ცალკე ქვეჭუფად გამოიყოს ისეთი შორისდებულიანი კომპოზიტები, რომლებიც ხმაბაძვითობასთან (ბგერწერითობასთან) არიან დაკავშირებული: ყიყ-ყას „ტკაცუნი“, „ხრაშუნი“, ალ ე-ალ ე „ტირილი“ (გოდების ხმიანობა), ჰალბლ-ჰალბლ „ალალ მისი (იყოს)“, წიდაბ-წიდაბ ,წიბ, წიბ!“, ჭი-ჭი ,ხარხარი“, ჰურუ-ჰარაბ „ხმაური“ (ხმამაღალი ლაპარაკი) და მისთ.

¹ შეიძლებოდა ამგვარი ერთეულები შესიტყვებად მიჩნეულიყო, მაგრამ ამას ხელს უშლის მათი სემანტიკა — მათი ერთ ცნებად გააზრება.

რომან ლოლუა

პირის ფორმანტთა ანალიზისათვის უდიურ ენაში

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ უდიურ ენაში პირის ნიშნები, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, აფიქსებს წარმოადგენენ. 2002 წელს ა. ჰარისიმა ახალი ოვალსაზრისის წარმოგვიდგინა (Alice C. Harris., Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002), რომელიც უდიური ენის ზოგიერთმა სპეციალისტმაც გაიზიარა (ვ. შულცე, ტ. მაისაკი). ამ მოსაზრების მიხედვით, უდიური ენის პირის ნიშნები კლიტიკებს წარმოადგენენ. გარდა პირის ფორმანტებისა, ზმნის მორფემათაგან ასეთივე კვალიფიკაცია მიეცა კატეგორიულ კილოსა (იუსივი ან „ნაწილაკოვან-კავშირებითი I“ ევგ. ჯეირანიშვილის მიხედვით) და პირობით-ნატვრითი კილოს („ნაწილაკოვან-კავშირებითი II“ ევგ. ჯეირანიშვილის მიხედვით) მაწარმოებლებს -უა- და -გი-ს და ნამყო დროების -ო მაწარმოებელსაც.

აშკარაა, რომ უდიური ენის პირის ფორმანტთა მოქმედება ხშირ შემთხვევაში უჩვეულოა აფიქსთათვის. პირის ნიშნები წინადაღებაში შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილებს დაერთონ (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი). თუ წინადაღებაში შემასმენელი არ იმყოფება ე.წ. ფოკუსში (ლამბრეხტი 1994), მაშინ პირის ნიშნით ხდება არა ზმნის მარკირება, არამედ ფოკუსში მყოფი წინადაღების ნაწილისა. ეს, როგორც წესი, კითხვითი და უარყოფის გამომხატველი სიტყვებია და ის სიტყვები, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ დასმულ კითხვას, მაგ., თუ წინასწარ ცნობილი იყო, რომ ვიღაცამ აიღო ვაშლი, მაშინ წინადაღებაში „ბავშვება აიღო ვაშლი“, ფოკუსში მოექცევა სახელი „ბავშვი“, როგორც ნათქვამის მომენტში არაპროგნოზირებადი და ლოგიკურად აუხსნელი, და პირის ნიშანიც (-ნე- III პირის ფორმანტია მხოლოდითში) ასეთ შემთხვევაში დაერთვის არა ზმნას („აიღო“), არამედ სახელს („ბავშვი“):

შეელ-ენ=ნე აყ-ე ეშ-ნ-უხ
ბავშვი—ERG.=III SG. აღება—PERF. ვაშლი—O—DAT.

ბავშვება აიღო ვაშლი.

ჩვეულებრივ თხრობით წინადაღებაში კი ეს ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს:

შეელ-ენ =ნე=ყ-ე ეშ-ნ-უხ
ბავშვი—ERG. აღება=III SG.=ST—PERF. ვაშლი—O—DAT.
ბავშვება აიღო ვაშლი.

აღსანიშნავია, რომ ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვისა, რომელსაც დაერთვის პირის ნიშანი, არ განიცდის ცვლილებას.

ზმნაშიც პირის ნიშანს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. ერთსა და იმავე ზმნაში, ერთი და იგივე პირის ფორმანტი შეიძლება იმყოფებოდეს სხვადასხვა პოზიციაში: სტატიკურ ზმნებში პირის ნიშანი, როგორც წესი, ბოლოსაა, მაგ., ბუ-ნე „არის“; არცი-ნე „ზის“; ჩურფი-ნე „დგას“; ბაკვი-ნე „წევს“; არცი-თე-ნე „არ ზის“...

გარდამავალ და გარდაუვალ დინამიკურ ზმნებთან პირის ნიშანი გამოიყენება სხვადასხვა ადგილის, მაგ., ბა-ნე-ქსა, ბაქსა-ნე „არის ხოლმე“, „არსებობს“, „ხდება“, თე-ნე-ბაქსა „არ არის ხოლმე...“; ე-ნე-სა, ესა-ნე „მოდის“, თე-ნე-ესა „არ მოდის“; აშ-ნე-ბეჭსა, აშესა-ნე „მუშაობს“, თე-ნე-აშესა „არ მუშაობს“...

ზოგჯერ პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობაც იცვლება, მაგ., ბო-ნე-ხსა „ხარშავს“ — ბოხ-ნე-სა „იხარშება“; ბი-ნე-ხსა „შობს“, „ბადებს“ — ბიხ-ნე-სა „იბადება“...

როდესაც პირის ნიშანი ფუძის მომდევნო პოზიციაზე იმყოფება, ის, როგორც წესი, ბოლოკიდურ ელემენტად გვევლინება, ანდა იშვიათად შეიძლება იმყოფებოდეს ზმნური ფუძის შემდეგ, მაგრამ წინ უსწრებდეს რომელიმე მაწარმოებელს, მაგ., ბიხ-ნე-სა „იბადება“, ბოხ-ნე-სა „იხარშება“.

ფუძის წინა პოზიციაზე ყოფნისას პირის ნიშანი ზმნის აბსოლუტურ დასაწყისში არ გვხვდება: იგი უეჭველად უნდა მოსდევდეს სხვა თავკიდურ მორფემას (როგორც წესი, ეს არის ზმნაში უარყოფის გამომხატველი ელემენტები — თე-, გა- და ნე-).

ყველა რთული აგებულების ზმნაში პირის ნიშანი შეიძლება ინტერფიქ्सურ პოზიციაში იმყოფებოდეს: ის არაუღლილებად ფუძე-

სა და მეშვეობ ზმნას შორისაა, ანუ კომპოზიტის კომპონენტებს შუა იყავებს ადგილს, მაგ., აშ-ეს „მუშაობა“ (აშ „საქმე“+ ბ-ეს „კეთება“) — აშ-ნე-ბე/ს „მუშაობს“; აზარუ-ბაჟ-ეს „ავად გახდომა“ (აზარუ „ავადმყოფი“, „სნეული“ + ბაჟ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“) — აზარუ-ნე-ბაჟს „ავად ხდება“, „ავადდება“...

პირის ნიშანი მარტივი აგებულების ზმნებშიც გვევლინება ინფიქსურ პოზიციაში. ასეთ შემთხვევაში, იგი ფუძის ბოლო თანხმოვნის წინ იყავებს ადგილს ანუ ზმნურ ფუძეს ხლეჩს, მაგ., ბაჟ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ — ბა-ნე-ჭ-სა „არის ხოლმე“, „ხდება“; აჟ-ეს „ნახვა“, „დანახვა“, „გამოჩენა“ — ა-ტუ-ჭ-სა „ხედავს“; ბიხ-ეს „შობა“, „დაბადება“ — ბი-ნე-ბ-სა „შობს“, „ბადებს“; ებ-უნ „მოსვლა“ — ე-ნე-ბ-ა „მოდის“... მარტივი აგებულების ზმნების უმრავლესობაში პირის ნიშანს მოეპოვება ინფიქსური პოზიცია. გამონაკლისა წარმოადგენენ ზმნები ბ-ეს „კეთება“ და ც-ეს „თქმა“, რომელთა ფუძეც ცალკეული თანხმოვნისაგან შედგება და კიდევ ორი ზმნა — ბუ „ყოფნა“, „ქონა“, „ყოლა“ და ბი/ც-ეს „მოკვდომა“.

თუ უდიური ენის პირის ნიშნებს კლიტიკებად მივიჩნევთ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნიკალურ ვითარებასთან: მსოფლიოს შესწავლილ ენათაგან არსად არ არის დამოწმებული ენდოკლიტიკა (მაგ., კლევანი 1979; მისივე 1985; კრისმანი 1997 და სხვა), ანუ ისეთი კლიტიკა, რომელიც სიტყვაფორმის, ან მით უფრო, მორფემის შიგნით გვხვდება.

ვფიქრობთ, დიაქრონიულ ჭრილში ეს ვითარება უნდა აიხსნას იმით, რომ უდიურს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე გარდამავალი ეტაპი უნდა გაევლო კლასოვან-პიროვანი უღვლილების სახით. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ მარტივი აგებულების ზმნებში ფუძის გახლეჩს შემთხვევათა მეტი წილი სწორედ გაქვავებული კლასის ფორმანტების (ბა-, ბი-, ბო-, ბოა-, ბუ-, ბუა...) შემდეგ გვხვდება, მაგ., ბუ-ეს „ყვარება“, „სურვილი“ — ბუ=ტუ-ყ-სა „უყვარს“, „სურს“; ბა-ქ-ეს „ყოფა“... — ბა-ნე-ქ-სა „არის ხოლმე...“; ბი-ყ-ეს „აშენება“ — ბი-ნე-ყ-სა „აშენებს“...

ზემოთ ჩამოთვლილი კლასის გაქვავებული ფორმანტები ამჟამად ზმნის ძირთან შეზრდილ მორფემებს წარმოადგენენ და მხოლოდ თვისტომი ენების მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ,

რომ კლასის გაქვავებულ ნიშნებთან გვაქვს საქმე. პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების შემდეგ პირის ნიშნები ჯერ კიდევ მოქმედი გრამატიკული კლას-კატეგორიის პრეფიქსების შემდეგ იკავებდნენ ადგილს და ამ კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ თითქოსდა აღმოჩნდნენ ერთიანი ზმნური ფუძის შიგნით. გამომდინარე იქიდან, რომ უდიურს ისტორიულად ახასიათებდა მონოკნეონანტური ზმნური ძირები (ამის შესახებ კავკასიის ალბანური მასალაც მეტყველებს), პოზიცია ფუძის ბოლო თანხმოვნის წინ აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ვფიქრობთ, ამით აიხსნება ფუძეთა გახლეჩის ის მაგალითები, სადაც გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვავებული ფორმანტი არ გვხვდება, მაგ., ა-ეს//ა-ეს-უნ „ნახვა“, „დანახვა“, „გამოჩენა“ — ა-ტუ-ჭ-სა „ხედავს“; ებ-უნ „მოსვლა“ — ე-ნე-ბ-ა „მოდის“ (ამ ზმნას, საფიქრებელია, რომ ფუძე საერთოდ დაკარგული აქვს)...